ახალი სხივი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

პარასკევი, 12 მარტი 1910 წ.

№ 31

გაზეთი „ახალი სხივი" ღირს როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მან. ნახევარი წლით 4 მან. თვიურათ: თფილისში 80 კაპ. თფილისს გარეთ 90 კ. სამი თვით თფილისში 2 მ. 20 კ., თფილისს გარეთ 2 მ. 50 კაპ. საზღვარ გარეთ—ორჯერ მეტი იმაზე, რამდენიც თფილისში ღირს.

განცხადებების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით—15 კაპ. უკანასკნელზე—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე 3 მან. 4 საათის შემდეგ—მეტი· გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველი რიცხვიდან.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპოდენციები არ ინახება და მათ შესახებ რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს. ერთი თვით ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები, ადრესის გამოცვლა თფილისიდან თფილისს გარეთ ღირს 80 კაპ. სხვაგან—40 კაპ. ცალკე ნომერი ღირს ყველგან ერთი შაური. რედაქციის ადრესი: თფილისი, ვანქის ქუჩა

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ახალი სხივი"

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის

გაზეთი ღირს: თფილისსა და თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., საზღვარ-გარეთ: ერთი წლით 14 მ., ნახევარი წლით 7 მან. სამი თვით: თფილისში 2 მ. 20 კ., თფილისს გარეთ 2 მ. 50 კ., ერთი თვით: თფილისში 80 კ., თფილისს გარეთ 90 კ.

ხელის მოწერა მიიღება: თფილისში „ახალი სხივის" კანტორაში. ბათუმში, სამტრედიაში და ჭიათურაში რკინის გზის შკაფებში, ქუთაისში ის. კეცარიძესთან, ჩოხატაურში ს. თავართქილაძესთან—წიგნის მაღაზიაში, ოზურგეთში მ. თალაკვაძესთან, ხიდისთავში ნ. კობიძესთან, ფოთში ს. ორაგველიძესთან. დანარჩენ ადგილებიდან ფოსტით უნდა გამოგზავნონ ფული რედაქციის კანტორაში.

რედაქციის ადრესი: რუსის ქუჩა № 3, შემოსავალი დიდი ვანქის ქუჩიდან.

ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, тип. „Шрома", Калистрату Конст. Цуладзе.

სახალხო სახლი.

კვირას, 14 მარტს,

მუსიკალური საზოგადოება სახალხო სახლთან არსებული, გამართავს ოპერას

რიგოლეტი.

ოპერა 4 მოქმედებანია.

მონაწილეობას მიიღებენ საუკეთესო ძალები.

დირიჟორი ბ. ვინჩენკო. რეჟისორი ბ. რატილი.

დასაწყისი 8 საათზე. ბილეთების ფასი 5 კ-დან 80 კ-მდე.

ბილეთები იყიდება კასაში. ადმინისტრატორი თ. დოლიძე

მეაბრეშუმეთა საყურადღებოთ

ამით მაქვს პატივი გამოვაცხადო, რომ ცნობილი

ძმ. პასხალიდების

აბრეშუმის თესლი

წელს აქვთ მინდობილი გასასყიდათ შემდეგ ფირმებს:

ბათუმში: მ. ს. მანუილიდს ზღვისპირის ქუჩაზე., ამხანაგობა „იმედს" მიხაილოვის ქუჩაზე, და მ. გ. რუსიძეს მარიინსკი პროსპექტზე. **სამტრედიაში**: პორფილე ქეიშვილს. **ხონში**: ქუთაისის გუბერნიის პირველ მეაბრეშუმეთა ამხანაგობას (სოფელ კუხში) **ქუთაისში**: კონსტ. ოქ-ძე მელიშვილს. **ახალსენაკში**: ა. ბ. ჩაჩიბაიას და გ. ი. სალაყაიას.

როგორც გასულ წელს, ისე ამ წელსაც „ძ. პასხალიდების" მიერ ქუთაისის გუბერნიისათვის აბრეშუმის თესლი საგანგებოთ დამზადებულია, ქუთაისის გუბერნიის

პირველ მეაბრეშუმეთა ამხან. დაკვეთით

კავკასიისათვის ერთად-ერთი წარმომადგენელი „ძმათა პასხალიდების" ფირმისა

მ. ს. მანუილიდი. (12—4)

თფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით. ღია არის ყოველ დღე გარედან მოსიარულე ავათმყოფთათვის.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 7, „ვერტკოლის" სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

დამბაშიძე ვ. დ. შინაგან და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა კვირისა 11—12 ს.
ბედევანიშვილი მ. ა. ნერვების და ელ. სარშაბ., ოთხშ. და პარ. 10½—11.
გურკო ბ. ა. შინაგანი. შაბათს 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.
ძიძოძე ტ. ს. შინაგანი. ორშ. და ოთხშაბათობით 9—10 ს.
კარშინი ა. ა. კანისა და ვენ., ყოველ დღე, კვირას გარდა 2½—3½ ს.
მალალაშვილი გ. გ. შინაგ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.
მანსვეტოვი ვ. ზ. შინაგანი. ორშაბათ., ოთხშ და პარ. 1—2 ს.
მელიქიშვილი ნ. მ. ქირურგ. და დედაკ. ყოველ დღე 12—1 ს.
მუხელიშვილი ვ. ს. თვალის. ორშაბათ. ოთხშ და პარსკ. 2—2½ ს.
ფიადოვი რ. ბ. ქირურგ., ყოველ დღე 11—2 ს.
პოპოვი ბ. ა. ყურის, ყელის და ცხვირის, ყოველ დღე, გარდა პარ. 2—2½ ს.
რცხილაძე ნ. კბილ. ყოველ დღე 9—10 ს,
სოკოლოვსკი გ. ვ. ქირურგ. ყოველ დღე. 9—1 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი. (100—93)

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაცია, კონსულტაცია, ელექტრონით წამლობა, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და შეღავათიანი საფასურით

ვოგზლის კერძო სამკურნალო

ღიაა ყოველდღე მოსიარულე ავათმყოფთათვის. ვოგზლის ქ. № 8; ს. ენფიანჯიანცისა (ტელეფონი 695.

ექ. ს. ვაშაყმაძე კბილის ავათმყ. ყოველ დღე 10—11 ს.
ექ. ი. ბომართელი ყოველ დღე 2—3 ს.; შინაგან და ბავშვ ავათმყ.
ექ. ა. ნ. დიასამიძე: ყოველ დღე 11½—12½ ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავათმყ.
ექ. ნ. მ. მელიქიშვილი: ყოველ დღე; 1—2 ს.; დედათა და ქირურგ. ავათმყ.
ექ. ბ. ა. პოპოვი: ყოველ დღე, გარდა კვირისა 12—1 ს.; ყელის, ცხვირის და ყურის ავათმყ.
ექ ვ. ს. მუსხელიშვილი: სამშაბათს ხუთ) და შაბათს 2—2½ ს.; თვალის ავათმყოფ.
ექ ე. გ. ფედოროვი: ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირ. 11—12 ს, შინაგანი და ბავშვ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათ გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის 50 კაპ.. ოპერაციები და კონსულტაცია მორიგებით.

(100—93)

საკოლონიო ამხანაგობა

ობოროში

(ამიერ-კავკ. რკინის გზების მოსამსახურეთა მომხმარებელ საზოგადოების საქონლის ჩამბარებელი)

ამით აუწყებს მომხმარებელ საზოგადოების წევრთ და კერძო მუშტართ, რომ 11 მარტიდან გაიხსნა **შეკერილ ტანისამოსის განყოფილება. ყოველნაირი ტანისამოსი მამაკაცთა პორტიკულიარული ფორმისა და მოწაფეთათვის, ქალთა ტანისამოსი, პარიზის უკანასკნელ მოდაზე დამზადებული.** ფასები შეუვაჭრებლათ, კონკურენციის გარეშე.

მაღაზია მოთავსებულია გოლოვინის პროსპექტზე, № 16, სახაზინო თეატრის პირდაპირ. (5—1)

ქართველთა გამომცემელ ამხანაგობის

„ცინკოგრაფია"

იღებს ყოველ-გვარ ზაკაზებს კლიშეებისა და ასრულებს სუფთათ თავის დროზე.

ადრესი: თფილისი, დიდი ვანქის ქუჩა, სახლი № 12 ზემო სართულში. (0—15)

მკერვალი ქალი

ვღებულობ შესაკერათ ყოველგვარ ტანისამოსს ქალების და ბავშვებისა

დაკლებულ ფასებში.

ადრესი: Казбекская № 10. 0—2

კბილის ექიმი

რომანიშვილი—დგებუაძისა

იღებს ავათმყოფებს 2—6 საათამდის. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასათ. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში.

ახალი ბინა: ავჭალის ქუჩა № 34.

ამით საყოველთაოთ ვაცხადებთ, რომ ყოვლად საუკეთესოთ და უტყუარათ ცნობილი

პასხალიდის

აბრეშუმის

თესლი

როგორც გასულ წლებში, ისე წელსაც მინდობილი აქვს **გასასყიდათ ფაბრიკისავე დადგენილ ფასებში**

მათე გაბრ—ს-ძე რუსიძის კანტორას

ქ. ბათუმში, მარიინსკის პროსპ. სახ. № 10 (15—11)

ქუთაისის გუბერნატორის ნებართვით ილია ბახტაძე წაიკითხავს საჯარო ლექციას ქუთაისში, ფოთში, სოხუმში, ოზურგეთში, სამტრედიაში, ნოდაღევს და ჭიათურაში შემდეგ თემებზე:

● **„ბატონ-ყმობა** და **დანიელ ჭონქაძე"** და **ჩვენი ახალგაზდა პოეტები: ვარლამ რუხაძე** და **მისი პოეზია"** ●

ლექციის წაკითხვის დრო ყოველ ქალაქში და დაბაში ცალკე აფიშებით ეცნობება საზოგადოებას. (8—ის.—1)

დაიბეჭდა და იყიდება ქართულ ენაზე ჰერგარტ ჰაუპტმანის ცნობილი დრამა

ფეიქრები

წიგნში ჩართულია ავტორის სურათი და პ. კოგანის კრიტიკული განხილვა. ეს დრამა ბერლინის თეატრებში სამი წლის განმავლობაში ორასჯერ დასდგეს. დრამის შინაარსი აღებულია გასულ საუკუნის ორმოციან წლებიდან გერმანიის მუშათა ცხოვრებიდან.

წიგნი ღირს 50 კაპ

მთავარი საწყობი წიგნისა არის მაღაზია „ალიონის" გამგე ვ. გადილიასთან. პროვინციაში მსურველთ წიგნი გაეგზავნება ჩვენი ხარჯით.

ფოსტის ადრესი. Тифлисъ, Кирочная ул. № 9 Василію Гадилія.

0—6

ვერის სახალხო აუდიტორია

შაბათს, 13 მარტს ქართულ სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქნება

I

ორ ცეცხლ შუა

დრ. 3 მოქ. თარ. მაჩაბლის

II

ცოლ-ქმრობის წინააღმდეგ

ვოდ. 1 მოქ. დ. აწყურელისა

მზადდება „უდანაშაულოთ დასჯილნი" და „ცხოვრების გარეშე"

ადგილების ფასი 5-კ. 25 კ. დასაწყისი საღამოს 8 საათ.

ადმინისტრატორი **კოსინკოვი**

დღევანდელი ვითარება.

სად შეჩერდება რეაქცია? სად არის ის ხაზი, რომელსაც მისი მოქმედება არ გადაშორდება? არის თუ არა რაიმე, ან ვინმე იმის თავდები, რომ რეაქცია დაკმაყოფილდება იმით, რაც მან მოიმოქმედა ხუთი წლის განმავლობაში? სადამდის მივა მისი ანტი-კულტურული და ანტი-საზოგადოებრივი მოღვაწეობა?

განმათავისუფლებელი მოძრაობის დამარცხების პირველ ხანებში ბევრს ეგონა, რომ მთავრობა ხალხის დამშვიდების შემდეგ უსაჭიროეს რეფორმების შემოღებას შეუდგებოდა. „თქვენ იტყვით, რომ ყველაფერი ეს განსაკუთრებული მდგომარეობაა,—განაცხადა დუმაში კადეტების ცნობილმა ორატორმა დეპუტატმა მაკლაკოვმა მთავრობის შინაურ პოლიტიკაზე კამათის დროს—რომ ეს—ბრძოლაა რევოლიუციის წინააღმდეგ. მე თვითონ გამოვიარე დრო, როცა ვფიქრობდი, რომ მთელი ბრალი განსაკუთრებულ მდგომარეობაშია, მარა ეს—უკვე განვლილი ილიუზიაა." დიახ, ბევრი ფიქრობდა, რომ განსაკუთრებული მდგომარეობა გაივლიდა რევოლიუციონური მოძრაობის ჩაქრობის შემდეგ და მთავრობაც შეუდგებოდა რეფორმატორულ მოღვაწეობას. ეს ყალბი პოლიტიკური მოსაზრება სარჩულათ დაედვა რუსეთის ლიბერალიზმის მშვიდობიან პოლიტიკას ჯერ კიდევ მაშინ, როცა რეაქცია სამკვდრო-სასიცოცხლოთ ებრძოდა რევოლიუციონურ რუსეთს. და როცა ლიბერალიზმის წარმომადგენლებმა მოკრძალებით მიუთითეს მთავრობას რეფორმების საჭიროებაზე, უკანასკნელმა ხელში მიჩეჩა მათ ცნობილი ფორმულა: „ჯერ დამშვიდება, მერე რეფორმები"! მარა დახეთ მათ გაკვირვებას! კარგი ხანია რუსეთი უკვე დამშვიდდა, რევოლიუციონური მოძრაობა სახელმწიფოში მიწყდა, მარა მიუხედავათ ამისა რეფორმების შემოღებას არავინ ეპირება, პირიქით, განმათავისუფლებელი მოძრაობის დროს განზრახული რეფორმები ან სრულიად მიივიწყეს, ან და ისე შეკრიჭეს, რომ მათ დაუკარგეს ყოველგვარი აზრი და მნიშვნელობა. მარა ეს კიდევ ნახევარი უბედურება იქნებოდა, რომ საქმე ამით გათავებულიყო. საქმე იმაშია, რომ ბიუროკრატია და ის საზოგადოებრივი ჯგუფები, რომელთა ინტერესების დასაცველათ იგია მოწოდებული, რეპრესიებს კიდევ უფრო აძლიერებენ...

შესრულდა ფორმულის პირველი ნაწილი,—„დამშვიდდა" საზოგადოება, მარა ფორმულის მეორე ნაწილის სისრულეში მოყვანას სრულებითაც არ აპირებენ. ერთი შეხედვით, რეაქცია დღეს ეწევა ისეთ მოღვაწეობას, რომელსაც თვით რეაქციონერთა თვალთახედვის ისრითაც კი ეკარგება ყოველგვარი ღირებულება. ბევრის აზრით ბიუროკრატიის ეხლანდელი ინტენსიური რეპრესიული მოღვაწეობა არ შეეფერება თვით მის საკუთარ ინტერესებს და თუ იგი მაინც ასე იქცევა—ეგ უნდა მიეწეროს მის რეაქციონურ გატაცებას. ასეთი მარტივი ახსნა იმ გარემოებას, რომ რეპრესიები სულ უფრო და უფრო ძლიერდება მიუხედავათ ქვეყნის დამშვიდებისა, არ შეეფერება ჭეშმარიტებას.

არ შეუძლიათ სხვანაირათ იმოქმედონ. უნდა გააკეთონ ის, რასაც დღეს აკეთებენ. ეს აზრი ჩვენთვის ცხადზე-უცხადესი იქნება, თუ დავეკითხებით თავის თავს, რომელი საზოგადოებრივი კლასის ინტერესებს იცავს ის...

რუსეთის გაერთიანებული თავად-აზნაურობა! აი მთავრობის გზის მაჩვენებელი ვარსკვლავი. რუსეთის ოფიციალური პოლიტიკა, როგორც შინაური ისე გარეშე, დღეს ტარდება ამ დრომოჭმული კლასის ჩვენებით და პირდაპირი გავლენით. ეხლა ეს ფაქტი არავისთვის არ შეადგენს საიდუმლოებას. ისტორიამ ეს კლასი უკვე გასწირა სასიკვდილოთ, მარა იგი მაინც ებღაუჭება სიცოცხლეს; მას უნდა იარსებოს და იბატონოს. ისტორიული აუცილებლობის რკინის კანონი კი ეწინააღმდეგება მის ამ სურვილს. მან დროებით შებოჭა საზოგადოებრივი ძალები, რომლებიც გამოხატავდენ ამ აუცილებლობის მოთხოვნილებას, მარა მხოლოდ შებოჭა და არა მოსპო! მიუხედავათ ბნელი ძალების თარეშისა მომავლის ძალები არსებობენ და იზრდებიან. ამ ზრდას დღეს სულ სხვა სახე აქვს, ვინემ ამ რამდენიმე წლის წინეთ ქონდა. იგი არ გამოიხატება სახალხო მოძრაობაში. ეს უკანასკნელი თითქოს სრულებით არ არსებობს, მარა ეს არის მხოლოთ მოჩვენება. ნამდვილათ, ხალხის მოძრაობამ სახე იცვალა; ცხოვრებაში ისევ ხდება ნელი დუღილი,—საზოგადოებრივი ძალთა ჩუმი მუშაობა. ამას კარგათ ამჩნევენ რეაქციის სულის ჩამდგმელები. ამიტომ, ის შედარებითი დამშვიდება, რომელსაც დღეს რუსეთი განიცდის, მათთვის არ არის ნამდვილი დამშვიდება. მათ უნდათ რუსეთის ცხოვრება საფლავს დაამსგავსონ, მარა ეს შეუძლებელია, ეს აღემატება მათ ძალ-ღონეს. სწორეთ რეაქციის სულის ჩამდგმელი კლასის სურვილსა და საშუალებას შორის არსებული კონფლიქტი იწვევს იმ დაუსრულებელ რეაქციას, რომლის მოწამე ჩვენ ვართ დღეს. მემამულე თავად-აზნაურობა, რომელიც დღეს სავსებით დაეპატრონა ბიუროკრატიას და მისი პრივილეგიებს უბრალო შეხებასაც კი ყოველთვის უპასუხებს ჯოჯოხეთური ძალების ამოძრავებით, ეს თავად-აზნაურობა ვერასოდეს ვერ შექმნის ისეთ პირობებს, რომ მოსპოს მისი არსებობის წინააღმდეგ მიმართული ძალები და თავიდან მოიშოროს ყოველგვარი საშიშროება. აქ არის სწორეთ ბიუროკრატიის რეაქციონური მოღვაწეობის დაულეველი წყარო. მისი დღევანდელი საქციელი—რეპრესიების თანდათანი გაძლიერება, მიუხედავათ ქვეყნის დამშვიდებისა—სრულიად ლოღიკური და აუცილებელია. გასაკვირალი ის კი არ არის, რომ ბიუროკრატია დანაპირები რეფორმების მაგიერ რეაქციონურ მოღვაწეობას აძლიერებს, გასაკვირალი დღევანდელ პირობებში ის იქნებოდა, რომ იგი სხვაფრივ მოქცეულიყო და თავისი სიტყვა საქმეთ ექცია.

რეაქციონურ თავად-აზნაურობას მხოლოდ მანამდი შეუძლია იბოგინოს, მანამდი შეუძლია შეინარჩუნოს პოლიტიკური ბატონობა, სანამ იგი შესძლებს ტლანქი ძალის შემწეობით გზა შეუკრას პროგრესიულ კლასების განმათავისუფლებელ ლტოლვილებას. მას სხვა საშუალება—გარდა ტლანქი ძალისა, გარდა რეპრესიებისა, არ გააჩნია. იგი მოკლებულია ყოველგვარ კულტურულ ძალას. ვისაც სურს გაეცნოს გაერთიანებული თავად-აზნაურობის კულტურულ ავლა-დიდებას მისთვის საკმარისია თვალი ადევნოს „რუსის ხალხის კავშირს", ამ „კულტურულ" თავად-აზნაურობის პირმშო შვილს. აქ, ამ „კავშირში" გამოფენილია მათ მომვლინებელთა მთელი სიდუხჭირე, მთელი მისი ანტიკულტურული და ანტისოციალური სახე, მარა რამდენათაც არარაობას, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, უარყოფითი მოვლენას წარმოადგენს იგი კულტურულათ, იმდენათ დიდი და განუზომელია მისი გავლენა საზოგადოთ ბიუროკრატიაზე. ჩვენ ხშირათ ვხვდებით იმის მოწმე, რომ შავრაზმელების რომელიმე გეგმა, რომელიც კულტურულ საზოგადოებაში სიცილის მეტს არაფერს გამოიწვევდა, დაბოლოს კანონათ ხდება რუსეთის მოქალაქისათვის და ცირკულიარის სახით ევლინება მას. მაგალითისთვის მივუთითებთ შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ გამოცემულ ცირკულიარზე შესახებ ნაციონალური საზოგადოებების და კავშირების დაარსებისა, რომელიც პირდაპირი ნაყოფია შავრაზმელთა „ნაციონალური პოლიტიკისა". რუსეთში მცხოვრებ ერებს, გარდა ერთისა, ეკრძალებათ კულტურულ განმანათლებელი საზოგადოების დაარსება მაშინ, როცა შავრაზმელებმა უკვე დაარსეს ნაციონალური პარტია, რომელმაც თავის დროშაზე დააწერა დაჩაგრული ერების ჩაყლაპვა—განადგურება. რასაკვირველია, ამით ჩვენ იმის თქმა სულაც არ გვინდა, თითქოს რაიმე უფლება-უპირატესობით იყოს აღჭურვილი რუსის დემოკრატიული მასსა. სრულებითაც არა, ის უპირატესობა, რომლებსაც მოითხოვენ რუსეთის შავრაზმელები მათი ნაციონალური პროგრამის სახით, ენიჭება არა მთელ რუსის ხალხს, არამედ—მის გაბატონებულ კლასს.

ბიუროკრატია, როგორც ერთგული მოსამსახურე გაერთიანებული თავად-აზნაურობისა, სდევნის ყოველგვარ თვითმოქმედებას საზოგადოებაში, მას სურს რკინის სალტეებით შებოჭოს თავისუფალი აზრი, დათრგუნოს ყოველგვარი

პროგრესიული მოძრაობა, რა ნაირ სახესაც უნდა ღებულობდეს ეს უკანასკნელი. მარა სინამდვილე, ისტორია დასცინის მის „ჯიუტობას", ხალხი ისევ სუნთქავს, წინსვლა, თუმცა დიდი ზიგზაგებით, მარა მაინც სწარმოებს. . და რეაქციის სულის ჩამდგმელნიც უმატებენ შევიწროებას, პოლიტიკურ რეპრესიებს. აი აქ მარხია მიზეზი რეაქციონური მაქსიმალიზმისა. ამ უკანასკნელის საზღვარი კი მდგომარეობს საზოგადოების სიკვდილში. ამიტომ კითხვაზე: სად შეჩერდება რეაქცია? ჩვენ ვუპასუხებთ: თუ გარემოებამ დააცალა იქ, სადაც სწყდება ყოველგვარი პროგრესი, სიცოცხლე და იწყება სიკვდილი! ერთად-ერთი საშვალება, რომელიც შეაჩერებს ეხლანდელ რეაქციას არის დემოკრატიული მასსის შეგნება-შეკავშირება.

რუსეთის ლიბერალიზმის პოლიტიკური სიბეცე სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ბიუროკრატიის მხრივ რეფორმატორულ მოღვაწეობას იგი გამოელის არა დემოკრატიის მოძრაობის, მისი პოლიტიკური ზრდა-განვითარების ზეგავლენით, არამედ — მის გარეშე. **ნ. ხ.**

პრესა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ხარჯთაღრიცხვის განხილვის დროს დეპუტატმა კ. ჩხეიძემ სიტყვა წარმოსთქვა, რომლითაც დახასიათა მთავრობის შინაური პოლიტიკა და მასთან (მთავრობასთან) დამოკიდებულება სხვადასხვა პარტიებისა თუ **ჯგუფებისა**. ხსენებული სიტყვა ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში უკვე იყო მოყვანილი, რომელიც მკითხველთ გაცნობილი ექნებათ და ამიტომ აქ სიტყვის აღარ გავაგრძელებთ, მოვიყვანთ მხოლოდ სატახტო ქალაქის უფრო გავლენიანი გაზეთების აზრს ხსენებული სიტყვის შესახებ. ოქტომბრისტთა პარტიის ცენტრალური ორგანო **„გოლოს მოსკვი"** შემდეგს სწერს:

„განაგრძობენ კამათს შინაგან საქმეთა სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ. ტრიბუნაზე დეპუტატი ნ. ნ. ლვოვია. გაფითრებული და მეტათ აღელვებული ამბობს ის თავის სიტყვას, რომელიც, როგორც სხვა დეპუტატები, ხაზ-გასმით აღნიშნავს მთავრობის და „რუსთა ხალხის კავშირის" ურთი-ერთ შორის მჭიდრო კავშირს... მეტათ ძლიერსა და მკვეთრ სიტყვას ამბობს დეპუტატი ჩხეიძე, რომელიც მიმართულია საზოგადოთ კადეტებისა და კერძოთ დეპუტატ მაკლაკოვის წინააღმდეგ. ორატორს თავ-დაუჭერელი სიცილით აწყვეტინებს მთელი დარბაზი სიტყვას ყოველ წამში... მემარცხენენი ცხარე ტაშს უკრავენ ორატორს, კადეტები კი პირქუშათ სდუმან...

იმავე ოქტომბრისტთა პეტერბურგელი გაზეთი **„გოლოს პრავდი"** სწერს:

„მშრომელთა ჯგუფის წევრის დეპ. მიაგკის შემდეგ ტრიბუნაზე ადის კავკასიის დეპუტატი ჩხეიძე, რომელიც ამბობს ერთ მკვეთრ სიტყვათაგანს სავსეს ირონიითა და სარკაზმებით...

კადეტთა პარტიის ცენტრალური ორგანო, **„რეჩი"**, როგორც მოხსენებული გვქონდა, შემდეგს სწერდა:

„განსაკუთრებით აღსანიშნავია დეპ. ჩხეიძის მკვეთრი, მოსწრებული, მწვავე და დაცინვით სავსე სიტყვა, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და უმაგალითო გულდასმით და ყურადღებით მოისმინეს ყველა დეპუტატებმა. სოციალდემოკრატების ორატორმა დაცინვის კილოთი მოიხსენია დეპ. მაკლაკოვის ყოფილი ოპტომიზმი. ორატორის სიტყვამ მწარე სიცილი გამოიწვია დეპუტატებში: იცინოდენ ცენტრში, იცინოდენ კადეტები, იცინოდა თვით მაკლაკოვიც...

დეპუტატი **მაკლაკოვი** „ნოვაია რუსის" გადმოცემით ჩხეიძის სიტყვის შესახებ შემდეგს ამბობს:

„ჩხეიძის სიტყვა საუცხოვო დამახასიათებელი სიტყვა იყო. მან მშვენივრათ გაარკვია რომ, ისინი, ვინც წინეთ კაბინეტს ნდობას უცხადებდენ, მისგან რაიმეს გამოელოდენ, ეხლა მხოლოდ სულელებათ-ღა დარჩენ. მან დაწვრილებით გამოიკვლია ასეთი ხალხის შინაგანი ფსიხოლოგია, მარა უფრო დამახასიათებელი ოქტომბრისტების დამოკიდებულებაა ხსენებულ სიტყვასთან. ოქტომბრისტების უმეტესი ნაწილი აშკარათ თანაუგრძნობდა ორატორს. ყველაზე მეტათ ისინი სიტყვის ამ ნაწილით სტკბებოდენ და თუმცა სიცილის ხასიათზე არ იყვენ, მარა ჩხეიძის მათდამი დამცინავ კილოს ვერ გაუძლეს და მწარეთ იცინოდენ...

მომხსენებელმა **თავ. გოლიცინმა**, როგორც „რეჩი" გადმოგვცემს

„მწუხარება გამოსთქვა, რომ დეპუტატ ჩხეიძის სიტყვის დროს, რომლითაც მაგრათ „მოხვდა" მომხსენებელსაც, საბიუჯეტო კომისიასაც, დეპუტატ მაკლაკოვსაც — მთავრობის წარმომადგენელნი არ სჩანდენ. ასეთ არა სასიამოვნო, მარა, სამწუხაროთ, ბევრში სიმართლით აღსავსე დაცინვაში რადიკალიზმსა ზომიერებაზე, მთავრობა ერთათ-ერთ სწორ დასკვნას გამოიყვანდა: აცლის რა ის ფეხქვეშ ნიადაგს ზომიერ ელემენტებს, ამით ის (მთავრობა) აძლიერებს, ამაგრებს უკიდურეს მემარცხენე პარტიებს, ამ პარტიებისკენ ხრის მცხოვრებთა დიდი უმეტესობის თანაგრძნობა-სიმპატიას...

„რუსსკოე სლოვო" სწერს:

„მომშხამავი სარკაზმით შეაზავა თავისი სიტყვა კავკასიის დეპუტატმა სოც. დემ. ნ. ს. ჩხეიძემ...

„ნოვაია რუსი" სწერს:

„სახელმწიფო დუმაში უმოწყალოთ აკრიტიკებენ ორატორები გაერთიანებული მთავრობის შინაურ პოლიტიკას, მარა მთავრობა არა სჩანს, — როგორც როდიჩევმა განაცხადა, იმიტომ, რომ მან ვერ გამოიჩინა უნარი ან ნიჭი, რომ გამოჩნდეს და პასუხი აგოს. დეე, ილაპარაკოს აღგზნებულის კილოთი მშვიდობიანი განახლების პარტიის წევრმა ლვოვმა, დეე, ილაპარაკოს თავისი იმედების გაცრუებაზე ამ სამი წლის წინეთ მთავრობის მიერ მოხიბლულმა მაკლაკოვმა, დეე, გულდასაკოდი სიტყვებით ილაპარაკოს დეპუტატმა ჩხეიძემ, ამ პირველ-ხარისხოვან ორატორ-სატირიკმა, — მთავრობა მაინც არა სჩანს... მაკლაკოვის დაფნის გვირგვინები დეპუტატ ჩხეიძის მკვეთრი სიტყვის შემდეგ დასჭკნენ. ჩხეიძის სიტყვის შესახებ ლაპარაკობდენ დუმის კულუარებში მთელი დღე და რომ ის დიდებული სიტყვაა, ამის შესახებ ორი აზრი არ ყოფილა...

„რუსსკოე ზნამია", ეს, „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის" ცენტრალური ორგანოც „აფასებს" ჩხეიძის სიტყვას.

„სოციალ-კავკასიელმა (Соціалъ-Кавказецъ) ჩხეიძემ მეტათ მკვეთრათ და მომწამლავი კილოთი დასცინა მაკლაკოვს, ამხილა რა ის მთელ რიგ წინააღმდეგობებში. რამდენათ მაკლაკოვის სიტყვა კარგი იყო ფორმით, იმდენათ ის ყალბი იყო შინაარსით, — განირჩეოდა არევ-დარევით და აზრთა გაურკვევლობით, ყველაზე უფრო მართალი, ძლიერი გულ-ახდილი, და წრფელი სიტყვა წარმოსთქვა, ჩხეიძის აზრით, მარკოვმა მეორემ. ვინაიდან მარკოვის სიტყვაში სოციალ-კავკასიელი ჩხეიძე ხედავს რეაქციის გამარჯვებას, თავის „რეჩს" ათავებს მოწოდებით „რუსეთის ცოცხალ ძალთადმი" მიმართვით, რათა ეს ძალები შეერთდენ მთავრობასთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის საწარმოებლათ..

სახელმწიფო დუმა.

(საკ. დეპ.)

10 მარტი.

სხდომის გახსნისას კითხულობენ სხვადასხვა განცხადებებს და მათ შორის გუჩკოვისა', რომელიც უარს აცხადებს საბიუჯეტო, სტაროობრიადცების და ქალაქის საქმეთა კომისიების წევრობაზე. შემდეგ განაგრძობენ რკინის გზათა სამმართველოს ხარჯთ-აღრიცხვის დანარჩენ მუხლების განხილვას. სამმართველოს უფროსი აცხადებს, რომ უწყებას აზრათ აქვს საგანგებო კანონ-პროექტი წარადგინოს დუმაში საქმის მოსაწესრიგებლათ.

მარკოვი პირველი ლაპარაკობს ახალი ტიპის ორთქლმავალების შესახებ. ის წინააღმდეგია ორთქლმავალთა პარკის ხარჯები შემცირდეს. მისი აზრით ყველა ხარჯების შემცირება შეიძლება და მისი კი არა, რადგან საჭირო ორთქლ-მავალების და მატარებლების უქონლობის გამო რუსეთმა ორჯერ განიცადა დამარცხება. უკეთუ დუმამ შეამცირა ეს ხარჯები, ის ხელს შეუწყობს რუსეთის მესამე დამარცხებას. დასასრულ ის აცხადებს, რომ დაევალოს სამინისტროს დროზე წარმოადგინოს კანონ-პროექტი უვარგის ორთქლ-მავლების გამოცვლის შესახებ.

მინისტრის ამხანაგი შჩუკინი სავსებით ეთანხმება მარკოვ პირველს და თხოულობს გადაიდვას სავსებით საჭირო თანხა ორთქლ მავალების გამოსაცვლელათ.

კამათი სწყდება.

დასასრულ დუმა ღებულობს ხარჯთ-აღრიცხვის დანარჩენ მუხლებს კომისიის გამოანგარიშებით.

გოდნევი მოხსენებას აკეთებს ვაჭრობის სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ. უწყებას გამოუანგარიშებია **6,365,904** მან. კომისიას შეუმცირებია **599,441** მანეთით. ამას გარდა კიდევ გამორიცხულია **500,000** მანეთი სამინისტროს ცენტრალურ დაწესებულებებისთვის სახლების საყიდლათ. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ დუმის მიერ გამოთქმული სურვილები სამინისტროს არც ერთი არ შეუსრულებია.

ვაჭრ. მინისტრი სამართლიანათ სცნობს სამინისტროსადმი საყვედურების უმეტესობას მაგრამ იმედს არ იძლევა, რომ დუმის ყველა სურვილები ჩქარა განხორციელდება. მინისტრი სავსებით ეთანხმება მისი წინამოადგილის პროგრამას. სამინისტროს მთავარი მიზანია მწარმოებელ ძალთა განვითარება. ჩვენი კეთილდღეობა დამყარებულია — ამბობს მინისტრი — სოფლის მეურნეობაზე, ამიტომ სამინისტრო მთავარ ყურადღებას ამას მიაქცევს. სამთო მუშათა შესახებ სამინისტროს ერთი საშუალება ღა დარჩენია: ან მისცეს სამუშაო და ან სხვა რამ და დაურიგოს მიწები. ამ საკითხის გადასაწყვეტათ ურალზე მიდის უწყებათა შორისო კომისია. შემდეგ მინისტრი ეხება მრეწველობის და მუშათა კითხვას. ის აცხადებს, რომ მფარველობითი სისტემის მომხრეა. ის წინააღმდეგია ტრესტის და სინდიკატების, რადგან ისინი ძირს უთხრიან წვრილ წარმოებას.

სტეპანოვი იმ აზრისაა, რომ სამინისტრო ღებულობს დუმის ყველა სურვილებს და ასრულებით კი არც ერთს არ ასრულებს. ამის მიზეზი ის არის, რომ ის ფინანსთა და შინაგან სამინისტროს ბრჭყალებშია გაჭედილი.

გეგეჭკორი თანაგრძნობას აცხადებს, რომ მინისტრს აზრათ აქვს ხელი შეუწყოს საწარმოვო ძალთა განვითარებას, მაგრამ ამავე დროს ვერ გაუგია, როგორ შეუძლია მინისტრს ასწიოს გლეხთა ყიდვის სახსარი; რეაქციის ცდა და სხვა და სხვა დაბრკოლებები ჩვენი ვაჭრობა-მრეწველობის წინააღმდეგ, შეუძლებელი გახადეს ზრდა-განვითარება. ორატორი აღნიშნავს, რომ სამინისტროს მოქმედება სავსებით დამორჩილებული ყავს კაპიტალისტებს, რომელსაც ვაჭრობა-მრეწველობის წარმომადგენელთა სიეზდის საბჭო ეწოდება, რომლის გავლენის გამო სამინისტრომ შესცვალა მუშათა დაზღვევის შესახებ კანონ-პროექტი. დასასრულ გეგეჭკორი ამბობს, რომ „ტუპიკიდან" რუსეთის გამოყვანა შეუძლია მხოლოდ რუსეთის პროლეტარიატს, რომელიც უნდა შეერთდეს და გაარღვიოს კედელი, რომლის იქით არის თავისუფლება. (მარცხნით ტაშის ცემა.)

სალამოს სხდომაზე კითხულობენ ს.-დემოკრატების შეკითხვას ქუთაისის გიმნაზიის მასწავლებელ უსტინოვიჩის მოქმედების შესახებ. ქუთაისის გიმნაზიის ერთი მოსწავლე მეორეს ქართულათ უკარნახებდა, უსტინოვიჩმა ეს შენიშნა და მიმართა შეგირდს შემდეგი სიტყვებით: «ნუ ყეფთ ამ პირუტყვულ ენაზე». ინტერპელიატორები წინადადებას იძლევიან მიმართონ კავკასიის ნამესტნიკს შეკითხვით: რა ზომების მიღებას აპირობს ის დაიცვას ზოგიერთ რუს მოხელე — პედაგოგებისაგან მთელი ერი შეურაცყოფისაგან. თხოულობენ შეკითხვის საჩქაროთ განხილვას.

ჩხეიძე საჭიროთ სცნობს შეკითხვის საჩქაროთ განხილვას, მით უმეტეს, რომ შეიძლება შეგირდები დასაჯონ და არა დამნაშავე უსტინოვიჩი.

შუბინსკი შეკითხვის საჩქაროთ განხილვის წინააღმდეგია, რადგან ფაქტი იმდენათ საყურადღებო არაა და კომისიას კი ისედაც აუარებელი საქმეები აქვს.

გეგეჭკორი. შუბინსკის მოტივი ორიგინალურია. თუ კი დუმა სცნობს შეკითხვის საჩქაროთ განხილვას, ამით ის თავიდან აცილებს კომისიას სამუშაოს, რადგან შეკითხვა ეხლავე გაირჩევა; ს. დემოკრატებისთვის მხოლოდ ის არის მნიშვნელოვანი, რომ ეს ფაქტი რუსეთის ფართო საზოგადოებას გააგებინოს.

ტიმოშკინი ამბობს, რომ ეს ფაქტი გაზვიადებულია. ალბათ, უსტინოვიჩმა უთხრა შეგირდებს: „ნუ ლაყბობთ ამ ცოცხალ ენაზე (не болтайте на этомъ живомъ языкѣ) რადგან ქართველები სხაპა-სხუპით ლაპარაკობენ (სიცილი). ის წინააღმდეგია შეკითხვის საჩქაროთ განხილვის.

დუმა უარყოფს შეკითხვის საჩქაროთ განხილვას და კომისიას აძლევს შეკითხვას.

შემდეგ იხილავენ ვაჭრობის მინისტრის განმარტებას სამთო გამგეობის მარკგოლდერის უკანონო მოქმედების შესახებ შეკითხვაზე. სხდომა იხურება. შემდეგი სხდომა დანიშნულია პარასკევს, 12 მარტს.

დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

11 მარტი.

სპარსეთი

თეირანი. რადგან ვერავითარ საშუალებით ფული ვერ იშოვნეს, ამ პროექტების ინიციატორები — ფინანსთა მინისტრი და სინიუდ-დოულე ადგილიდან გადადგენ. მათ მიემხრო იუსტიციის მინისტრი. შესაძლოა სხვების გადადგომაც. შაჰის ძვირფას ნივთების დამფასებელმა სურვილი განაცხადა ამ ნივთების ყიდვის, რითაც მთავრობის ნდობა დაკარგა სინდისიერათ შეფასებაზე.

ოსმალეთი

სტამბოლი. კომმინიუკეს გამოცხადება გადაიდვა.

რკინის გზაზე დაატუსაღეს გერმანელი ანარქისტი, რომელმაც თავის თავს იოგანსონი უწოდა. ის სახღვარ გარეთ გაგზავნეს.

სალონიკი. ჩრდილოეთ ალბანიაში აჯანყება დაიწყო. მესამე დღეა დიბრსკ მალესსიში ორი ტომის ხალხს ომი აქვს. მდინარე დრინზე ხიდები დაანგრიეს. დიბარში ბრბო თავს დაესხა ადმინისტრაციის ბინას, რომ გაენთავისუფლებია ბოროტმოქმედნი. გაიგზავნა ჯარი და არტილერია. ალბანელებმა გადასახადზე უარი სთქვეს და ფულის ამკრეფნი გარეკეს.

საზღვარ-გარეთ

ვენეცია. ტარნოვსკაიას საქმე. საღამოს სხდომა. ვენის ვექილმა როზენფელდმა აჩვენა, რომ პრილუკოვმა სამჯერ მოინდომა თავი მოეკლა ვენის სასტუმროში. მოწმის აზრით პრილუკოვი ბრმა იარაღი იყო ტარნოვსკაიას ხელში. ტარნოვსკაიას ნათესავი ქალი ფალი ამბობს, რომ ტარნოვსკაია ძალიან უყვარდათ და მასაც ძალიან უყვარდა შვილები. ტარნოვსკი თავ-აშვებულ ცხოვრებას ეწეოდა. ყურადღებას არ აქცევდა ცოლს. მისმა ძმამ თავი მოიკლა, რადგან კამენი ვერ დაიჭირა როცა ტარნოვსკაია ფლორენციაში ავათ იყო. მოწმე აქებს ტარნოვსკაიას ოჯახობას. ვენის პოლიციის აგენტი პოლლაკი აცხადებს, რომ პრილუკოვი ცრემლებით ევედრებოდა შეემსუბუქებია სასჯელი ტარნოვსკაიასათვის. მოწმის აზრით მკვლელობის აზრი ტარნოვსკაიას დაებადა. ვენის ერთმა მაძებარმა აგენტმა, რომელიც პრილუკოვს გაყვა ვენეციაში, სთქვა, რომ ის თვალყურს ადევნებდა ტარნოვსკაიას სახლს და ხმაურობის დროს პოლიციელებისათვის უნდა დაეძახათ. მკვლელობის ჩადენის დღეს დილით მას უნდოდა კამაროვი დაეჭირა სახლის კარებთან. მას ხელი შეუშალა პრილუკოვმა. სროლის ხმა არ გაუგონიათ, მაგრამ დაინახეს როგორ მივიდა ხალხი ჟანდარმებით, მაშინ პრილუკოვმა სთქვა, რომ საჭიროა წასვლაო. სხდომა იხურება.

პარიჟი. სენატმა განაახლა მოხუცთა მფარველობის შესახებ კანონ-პროექტის განხილვა. მოხსენებულ იქნა შესწორება, გავრცელებულ იქნას ზოგიერთი მუხლები უცხოეთის მუშებზე, რომლებიც 60 წელი ცხოვრობენ საფრანგეთში. სენატმა მიიღო მთელი კანონ-პროექტი 280 ხმით წინააღმდეგ სამისა.

რუსეთი

იაკუტსკი. საფერშლო სკოლის შეგირდ იაკუტის ბინის გაჩხრეკის დროს იპოვნეს დაუმზადებელი ყუმბარა და ასაფეთქებელი ნივთიერებანი.

ვენგროვი. სედლეცის საოლქო სასამართლომ გაარჩია ვენგროვის სამხედრო საკრებულოს საქმის მწარმოებელ ვიომირსკის საქმე. ის სამსახურიდან დაითხოვეს და 240 მანეთით დააჯარიმეს. ჩვენება ჩამოართვეს 70 მოწმეს.

ჰელსინგფორსი. სამსახურიდან გადადგა ფინლიანდიის ლოცმანთა უწყების უფროსი გენერალი შემანი.

იარაღების ქარხნის კანცელარიაში ყალბი ასიგნაციებით მიუღიათ 3,577 მანეთი.

ნოვოროსიისკი. დაიწყო „ნოვოროსიისკის რესპუბლიკის" საქმის გარჩევა.

პატარა საუბარი

VIII.

მრავალმა წყალმა განვლო მას აქეთ, რაც ჩვენი ცნობილი კრიტიკოსი ბ-ნი კიტა ცა და დედამიწას შესჩიოდა ჩვენი ცხოვრების დაკნინებას და გამოფიტვას. ვინაიდან ცხოვრება უშინაარსოა და მდარე, ამიტომ — ასკვნიდა ის — ხელოვნებაც უშინაარსოა და მდარე. ბ-ნი კიტა ათვალიერებდა ჩვენი საზოგადოების შინაურულ ოჯახურ მორთულობას და მარტოოდენ ულაზათობას ჰპოვებდა იქ. დაეცა და გათახსირდა ყოველი გემოვნება მშვენიერება — ალმაფრენისა, მწარეთ გოდებდა კრიტიკოსი.

განა ამ მოთქმა-წუხილში სამართლიანიც ბევრი რამ იყო უეჭველათ; თანაც კიტას სულისკვეთება [illegible] რი როდი იყო, — [illegible] მთელი რუსეთის განათლებული წრეების ერთი დამახასიათებელი ნიშანთაგანი, მაგრამ აქ შორს მე არ მინდა წავიდე. ქართველი ინტელიგენცია მართლაც დიდ სასოწარკვეთილებას განიცდიდა. მესამოცენი მობერდენ, ახლებს კი სიჭაბუკე არ ეტყობოდათ, — „არსაიდან ხმა, არსით ძახილი", აი მათი ლეიბ-მოტივი....

საქართველო ყველას ენაზე ეკერა, მაგრამ თვით ქართველი ერი „არსაიდან" სჩანდა. გაისმოდა „სულ ძილი, ძილი"... რომელზედაც დაჰღიღინებდენ „ნანას" და „მრავალ-ჟამიერს". ამასობაში ხალხის მკერდში მათთვის უჩინარათ ინასკვებოდა ახალი საეპოქო კვანძები, იჩეკებოდა და მწიფდებოდა მის ჯურღმულებში სულ ახალი ლტოლვილებანი, საცა უნდა დაეკრა მეათორმეტე ჟამს და წამოჭრილიყო ზეზე ის, ვისაც ასე ნაკლებ მოელოდენ, ვისზე ასე აღგზნებულათ ლოცულობდენ... მაგრამ მიწის ზედა კანი ჯერ არ იყო კიდევ დამსკდარი, არ იტყორცნებოდა ჯერ კიდევ იქიდან ცეცხლი და ლვარძლი. ქშინვა და დრტვინვა, ძრწოლა და კისკისი დიახაც ისმოდა, არც „ბორკილების ჟღარუნი" და მისი „დამსხვრევის" ცდა იყო მახვილ ყურისათვის საიდუმლო რამ... არ ეწვეთებოდა მხოლოდ ყველა ეს ინტელიგენციის ფართხალა ყურებში. კიტა და ძმანი მისნი ფილისტერთა დამკონარეთა ატმოსფერაში ეძიებდენ ესტეტიურ გემოვნებას, ნამდვილი ბუდაზი ამ და ბევრ სხვა თვისებათა, ქართველი მშრომელი და მლტოლველი ხალხი, მათთვის ჯერ კიდევ უსიცოცხლო იყო.

დაჰკრა საბედისწერო წუთმაც და წამოიჭრა ზეზე ქართველი ერი. მან დაგვანახა მისი მამოძრავებელ ძალთა ალმაფრენაც და ქვევით დაქანებაც; მის გულის სიღრმიდან ამოსკდა ძლევამოსილი ხმა: ერთობ, ადამიანობა, სამართლიანობა, მაგრამ მას ლამის ჩაუღეწეს გულის ფიცარი და ისმის მხოლოდ საზარელი ხრიალი იქიდან.., დიახ, ქართველმა მშრომელმა ხალხმა, **„ამ ჩონჩხმა და სულმა თვით ერისა**, გადმოგვიშალა თვალ-წინ მშვენიერება ძალისა და ერთსულოვნებისა, **ჯოჯოხეთური** კაეშანი საშინელ დამარცხებისა, ერთი სიტყვით, **— დაუშრეტელი წყარო წმინდა და მაღალ ხელოვნებისათვის.**

და რას ვხედავთ კიტას წრეებში? ძველ და დახავსებულ ლათაიებს! უმღერიან „ვარდი-კოკობს", ან კიდევ გვიშლიან და გვიმკობენ ქართველთა წარსულ ქველობას, თითქო ქართველთა გუშინდელი არწივივით წამოჭრა და მათი დღევანდელი წვა-დაგვა სხვა მეტი თემას არ იძლეოდეს ქნარისათვის!

ამ თანამედროვე თემას კი გვერდს უვლიან და გაურბიან. მართალია, ბ-ნი გოთუა შეეხო სულ ახლო წარსულს თავის „დრამაში", მარა მან წაბილწა ხელოვნების ტაძარი, გამასხარავა დიდებული და ტრაგიკული მოძრაობა ჩვენი ერისა, ასეთ უმსგავსოების წინაშე გვმართებს ზიზღი და არა კრიტიკა ..ბ-ნმა გოთუამ თავისებურათ გადმოგვცა **ახალი დრამა ჩვენი ერისა**.. ნუ თუ მარტო გოთუას „განათებით" წარუდგება ჩვენი ერის ახლო ცეცხლ-მფრქვევი წარსული მომავალს?! **არა მჯერა...**

წინწკალა.

რედაქციისაგან

ჩვენი გაზეთის ამავე ნომერში, მეოთხე გვერდზე, დაბეჭდილია ბ-ნ ეგნატე ხრამელაშვილის წერილი, რომლითაც ის აცხადებს, რომ იმ არტელს — „ვარიაგს", რომლის წესდებას ბ. გალიორკა არჩევს, არაფერი საერთო არა აქვს იმ ახალ არტელ „ვარიაგთან", რომლის წესდება მე შევადგინეო. ჩვენ სასტიკი უარყოფით ვეპყრობით ყოველგვარ არტელს, — ახალი „ვარიაგი" იქნება ის თუ ძველი „ვარიაგი" სულ ერთია, ამიტომ ჩვენს შეხედულებას არტელზე ვერ შესცვლის ვერც ის გარემოება, თუნდაც რომ ბ. ხრამელაშვილის „ვარიაგს" არაფერი საერთო არ ქონდეს იმ ძირითად მუხლებთან, რომლის წესდებას არჩევს ბ. გალიორკა. ამას უნდა დავუმატოთ ისიც, რომ რამდენათაც ჩვენ ვიცით, „იმ „ვარიაგს", რომელსაც ბ. ხრამელაშვილი „ახალ ვარიაგს" ეძახის, მჭიდრო კავშირი აქვს,

მეორე „ვარიაგის“ ინიციატორებთან და წესდების უმეტესი მუხლებიც პირდაპირ გადმოწერილია იმ „ვარიაგის“ წესდებიდან, რომელსაც არჩევს ბ. გალიორკა, რასაც დავინახავთ ამ „ახალი ვარიაგის“ წესდების გარჩევიდან, რომელიც ამ დღეებში ჩვენს გაზეთში დაიბეჭდება.

საკვირველია, რაღა საჭიროა ახალი არტელის შედგენა და ისიც „ვარიაგის“, როცა არტელი უკვე არსებობს რკინის გზაზე და თუ მაინცა და მაინც ახალი „ვარიაგის“ ავტორები ასეთი მომხრე არიან არტელის, მაშინ, განა ბევრათ უმჯობესი არ იყო, არსებული არტელის წესდების შეცვლა-შესწორებაზე ეზრუნათ??! ამას მოითხოვდა, სხვა რომ არა იყოს რა, ის გარემოება, რომ ახალი არტელის და უკვე არსებული არტელის წევრთა შორის არ ჩამოვარდეს ქიშპობა და უთანხმოება, რაიც ასე მავნებელია საერთოთ მუშათა საქმისათვის.

ახალი ამბები

◆ **ბატაილის მოთხოვნა**. ტრამვაის დირექტორმა ბატაილმა წინადადება შეიტანა ქალაქის გამგეობაში დაუყონებლივ გადასწყვიტონ გადასახდომ ბილეთების შესახებ საკითხი და საბჭოს დადგენილება ეცნობოს მას. ახლანდელი წესი გადასახდომი ბილეთების შესახებ ძალიან საზარალოა საზოგადოებისათვისო, და თუ ამ საკითხის გადაწყვეტა დაჩქარებული არ იქნება, იმ შემთხვევაში მე გადასახდომ ბილეთების ისეთ წესებს შემოვიღებ, რომელიც სრულიად ეთანხმება ხელშეკრულობასო.

◆ **ქალაქის სარევიზიო კომისია.** დაიწყო ქალაქის სარევიზიო კომისიის სხდომები. პირველი სხდომა მოხდა ოთხშაბათს, 11 მარტს. კომისია შეუდგა 1903 წლის ანგარიშის განხილვას, გაარჩიეს რამდენიმე მუხლი. შემდეგი სხდომა დანიშნულია ოთხშაბათს, 17 მარტს.

◆ **თფ. ფოსტა ტელეგრაფის კანტორა.** რადგან თფილისის ფოსტა-ტელეგრაფის შენობა ძალიან დაძველებულია და შესაძლებელია რაიმე უბედურებაც მოხდეს, ამიტომ ქალაქის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა უმაღლესი მთავრობის წინაშე, რათა მთავრობამ ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას და შეუდგეს ისეთ შენობის აგებას, რომელიც შეეფერება აღნიშნულ დაწესებულებას.

◆ **ავლაბრის მცხოვრებნი** სთხოვენ ქალაქის გამგეობას, რათა ავლაბარში აგურხანების წარმოება შეწყვეტილ იქნას, რადგან აგურხანები ცეცხლის მხრივ ძალიან საშიშ მდგომარეობაში აყენებენ ადგილობრივ მცხოვრებთ და დასასახლებელ მიწებსაც ამახინჯებენო. ამ საქმის გამორკვევა ქალაქმა ტეხნიკოსსა და მიწის მზომელებს მიანდო.

◆ **ტრამვაის დირექცია** ქალაქის გამგეობას თხოვს დაუყონებლივ წარუდგინოს 200 მ., რომელიც ვერის დაღმართის ელექტრონის ბოძების შეკეთებისათვის ერგება მას ქალაქისაგან.

◆ **ქალაქის ექიმები.** ქალაქის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა გუბერნატორის წინაშე ნება დართოს მას ხარჯთაღრიცხვის დამტკიცებამდე მოიწვიოს 4 ექიმი, რომელნიც სპეციალურათ თვალყურს ადევნებენ ქალაქს სანიტარულ მდგომარეობას.

◆ **აბრეშუმის თესლი.** თფილისის სააბრეშუმო სადგურში აბრეშუმის თესლის გასინჯვა უკვე დამთავრდა. აბრეშუმის თესლი უმეტესათ საზღვარ-გარეთიდან არის ჩამოტანილი.

◆ **ბლერიოს ჰაეროპლანი.** ტეხ. კუზნეცოვს განუზრახავს ახლო მომავალში თფილისში ბლერიოს ჰაეროპლანით აფრინდეს.

◆ **სწავლა-განათლების სასარგებლოთ.** „ნუხის ურთიერთ დამხმარე საკრედიტო საზოგადოებას“ 1908 წლ. მოგებიდან 490 მანეთი გადაუდვია სკოლებისა და ღარიბთათვის საავათმყოფოს დასაარსებლათ.

◆ **ფილიალური განყოფილება ბათუმში.** ტუბერკულიოზთან მებრძოლ კავკასიის საზოგადოებამ რამდენიმე განცხადება მიიღო ბათუმიდან, რომლითაც თხოვენ საზოგადოებას იშუამდგომლოს რათა ქალაქ ბათუმში ხსენებული საზოგადოების ფილიალური განყოფილება იქნას დაარსებული.

◆ **მატარებელზე თავდასხმის შესახებ** სამტრედიიდან შემდეგ დამატებითი ცნობებს გვატყობინებენ: დამსხვრეულა 14 ვაგონი, შეიპყრეს 13 ავაზაკი, რკინის გზის ახლო იპოვეს ერთი ბერდანკა.

◆ **შავი ყვავილი.** როგორც იუწყებიან, ქალაქ განჯაში გადამდები ავათმყოფობა—შავი ყვავილი გაჩენილა.

◆ **ფულისა და ნივთების გატაცება.** 10 მარტს თფილისის ვაჭარმა რ. დ. შაბანოვმა პოლიციას განუცხადა, რომ მისმა ძმამ შ. შაბანოვმა თავის ნოქარს, სპარსელის ქვეშევრდომს ი. იახ-ოღლის 205 მ. ღირებული ნივთები და 100 მ. ფული გიდასცა სხვაზე გადასაცემათ, ხსენებულმა ნოქარმა ფულიცა და ნივთებიც გაიტაცა და მიიმალა.

◆ **მოხერხებული მარჩიელი.** ამ რამდენიმე ხნის წინათ თფილისში მცხოვრებმა ა. ი. რუდაკოვამ პოლიციას განუცხადა, რომ მან გოგოლის ქუჩაზე მცხოვრებ ვიღაც მარჩიელ ქალს 30 მან. გადასცა. ამ უცნობმა ქალმა დამარწმუნაო, განაცხადა რუდაკოვამ, რომ მას შეუძლია ისე მოახერხოს, რომ ვისაც ვინ ესურვება იმ ახალგაზრდა კაცზე დაეწერინოს ჯვარი, ან ვისაც რომელიც სურს ის ქალი შერთოსო. 30 მანეთი მიტომ გადავეცი, რომ მას მოეხერხებია ჩემთვის ჩემს სატრფოზე ჯვარი დამეწერა, მაგრამ 30 მან. გარდა უცნობმა მარჩიელმა მოითხოვა ჩემგან ზედა ტანთსაცმელი 70 მან. ღირებული, 4 არშინი აბრეშუმის ლენტი—6 მ.—ფარფორის ჭურჭელი 2 მ. ღირებული, თეთრი ცხვირსახოცი—50 კ. და ერთი ოქროს ჯვარიც—5 მ. ღირებული. ერთი სიტყვით,—115 მ. ღირებული ნივთები; მარწმუნებდა, რომ ყველა ამ ნივთებს ის საქმის მოგვარების შემდეგ უკანვე დაგიბრუნებო. უცნობის სურვილი შევასრულე, მაგრამ არც ნივთები და არც ფული ჩემთვის არ დაუბრუნებია, არც საქმე გაუკეთებია და თფილისიდანაც წასულაო. პოლიციური ცნობებით, უცნობი ქალი ევდუკია დმიტრიევა ყოფილა. უცნობი ჯერ არ შეუპყრიათ.

◆ **ავტომობილის დაჯახება.** 9 მარტს, დილის 12 საათზე, ოლგის ქუჩიდან გამოქანებული 4 ბორბლიანი ავტომობილი, გოლოვინის ქუჩაზე 22 № სახლის წინ ქვაფენილზე ავარდა—სახლს დაეტაკა, ფანჯრები ჩაამტვრია. იქვე მდგომი პეტრე ლ. ბურახის დაეტაკა, რომელიც ძირს დასცა და ძალზე ფეხები და გვერდები დაუზიანა. როგორც გამოირკვა, ავტომობილს ტორმოზი გაფუჭებული ჰქონებია. ავტომობილი ეკუთვნის ავსტრიის ქვეშევრდომს ვ. შარკოშესის, რომელსაც ავტომობილის ნებართვა არ ჰქონებია.

◆ **მოულოდნელი შემთხვევა.** 10 მარტს ოლგის ქუჩაზე მიმავალ საქართველოს ეგზარხოსის ეტლში შებმული ერთი ცხენი, რაღაც მიზეზით, უეცრათ წაიქცა და მოკვდა. ეგზარხოსს კერძო ეტლით მოუხდა ბინაზე გამგზავრება.

◆ **თფილისის პოლიცმეისტერმა** განკარგულება მოახდინა, რათა დღეიდან ბოტანიკურ ბაღში ყოველ-დღე, წესიერების დასაცველათ პოლიციელები მორიგეობდენ. დილის 8 საათ. საღამოს 10 სათამდე.

◆ **თავის დახრჩობის განზრახვა.** 10 მარტს, დღის 12 საათზე, სომეხთა სასულიერო სემინარიის მე-7 კლასის მოწავლე ა. ა. აგაბეკიანცი თავის დასახრჩობათ ვორონცოვის ხიდიდან მტკვარში გადახტა, მაგრამ მალე მიუსწრეს და დახრჩობას გადაარჩინეს. თავის დახრჩობის მიზეზათ მოსწავლემ თავისი აუტანელი მატერიალური მდგომარეობა დაასახელა.

◆ **ლექცია.** კვირას, 14 მარტს, სახალხო სახლში ა. ხატისოვი წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „ჭლექი და საშვალებანი მის წინააღმდეგ“.

გურია. 6 მარტს, ღამით, სოფ. შემოქმედში ღვინით გალეშილ დათონაიშვილმა, თიკანაძემ და სხვებმა, ი. ბურჭულაძის ლობე-კარებს მტვრევა დაუწყეს, ბურჭულაძემ სთხოვა მათ, ნუ დაუნგრევენ ყველაფერს, გამხეცებულმა ლოთებმა მოჰკლეს ბურჭულაძე. მკვლელები შეიპყრეს. ბურჭულაძე ღარიბი კაცი იყო.

— ოზურგეთში შეიპყრეს და ციხეში გაგზავნეს მელქისედე გურდღლაძე, იასე ჩხარტიშვილი, ს. ლიხაურში დააპატიმრეს ლარ. თაყაიშვილი, ხვარბეთში შეიპყრეს ადალო გობრონიძე, რაფიელ ბოლქვაძე, მ. რუსიეშვილი და სხვები.

სამგლოვიარო წერილი.

ფოთის სახ. უნივერსიტეტის შკოლის მასწავლებელნი და მოსწავლენი ღრმათ დაგვამწუხრა ამავე შკოლის უფროს მოსწავლის გრიგოლ კალანდაძის უდროვო გარდაცვალებამ.

კმარა!..

რას დაღვრემილხარ, ცხოვრების ქურავ?
დატუტულ პირსა დაგკვრია ობი,
რათ არ ბრიალებს კვლავ შენში ცეცხლი,
შრომის საბუთი! სიცოცხლის მთმობი!
სად არის შანთი? სად არის ურო?
გრდემლი სადაა, მითხარი: გრდემლი?!
ან ეგ სამჭედლო რამ დაადუმა?
ჩუმის ქვითინით რათ დასდის ცრემლი?
ან ის მჭედელი, მითხარ სად არის?
რატომ არ ისმის მისი სიმღერა,
გამრჯე კლავების მძიმე მიმოხრა,
გრდემლის ახლობლათ გრდემლისავ ძგერა?
„რაში“ საით-ღა გადაკარგულა?
„ლურსმანი“ ხომ არ შემოლევია?
ტყეში გაიჭრა? ეხლაც იქაა,
თუ სადმე ნადირს დაუძლევია?!.
დაჰქმინე, ქურავ! აღინთე ცეცხლო!
მოდი, მჭედელო, დაუდე რკინა!
და... რაშიც მოვა... ჩუ! იქ ტყის პირად,
მგონია, კიდეც დაიჭიხვინა...
აბა, მჭედელო, მომართე ურო,
აადგანდგარე იმის ქვეშ გრდემლი,
შეახმაურე კვალად სამჭედლო!
კმარა ამდენი დუმილი!.. ცრემლი!!.

ნ. ზომლეთელი.

წერილები ლონდონიდან

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

მკითხველს კიდეც მობეზრდა ალბათ სულ მუდამ ინგლისის კონსტიტუციურ ბრძოლაზე ბაასი და ეს მით უფრო, რომ იგი (ბრძოლა) ასკვიტის უპირო სამინისტროს მეოხებით ლამის ფარსად იქცეს. მეც შემიძლია აქედან სხვა მორიგ კითხვებზე გადასვლა. ამათ შორის პირველი ალაგი უეჭველათ ლონდონის მუნიციპალურ არჩევნებს უნდა დაეთმოს, მომხდარს 5 მარტს ახალი სტილით.

ვის არ გაუგონია, რა დიდი მნიშვნელობა აქვთ ინგლისის შინაურ ცხოვრებაში ადგილობრივ თვითმართველობებთ. მათი დამახასიათებელია არა იმდენათ დემოკრატიული შემადგენლობა—ამმხრივ იდეალამდე კაი მანძილია,—რამდენათ **სრული დამოუკიდებლობა** ცენტრალურ დაწესებულებათაგან და რაც შეძლება ფართე თაოსნური თვითმოქმედება. რასაკვირველია, აქაც ყველაფერი ხახელმწიფოს საერთო კანონმდებლობის ფარგლებში სწარმოებს, მაგრამ ეს ერთ ბეწოთაც არ უშლის თვითეულ სათვითმართველო ერთეულს გამოსცეს ვრთხელ შემოხაზულ სარბიელზე **სრულიად კანონისებური** წესები და კიდეც სისრულეში მოიყვანოს ისინი. აქ მთავრობას ხელი არა აქვს, მეტსაც ვიტყვი—მისი ოდნავ მაინც საქმეში გარევა აჯანყებასაც კი გამოიწვევდა ხალხში, იმდენათ ხელუხლებელია ეს პრინციპი. თვითმართველობა ეწევა ათასგვარ სოციალ-ეკონომიურ და კულტურულ საქმეებს, აწერს მოქალაქეთ ხარჯებს, ირჩევს მოხელეთ—აქედან **პოლიციაც მის განკარგულებაშია** და სხვ. ყველა ეს ხდება მთავრობის გარეშე, მის დაუკითხველათ, მის ნებადაურთველათ...... აი, რაა თავი და თავი.

ვთქვათ, რომელიმე თვითმართველობამ გადალახა საერთო კანონმდებლობის საზღვრები, ვინ სწყვეტს ასეთ შემთხვევებში კონფლიქტებს? **სამსაჯულო,** აი პასუხი. მთავრობის მოხელენი მხოლოდ-ღა წამოაყენებენ კითხვას დარღვეულ წესის აღდგენაზე, გადაწყვეტა კი მათი საქმე არაა. იშვიათად საქმე პარლამენტამდეც მიაღწევს, მაგრამ არც ესაა საშიშო მუნიციპის თავისუფლებისათვის, რადგან უძლიერესი ფაქტორი სახელმწიფოში—სათემო პალატა ხალხისაგანაა არჩეული, მთავრობას კი ეს პალატა ნიშნავს ფაქტიურათ. აქედან ადვილათ წარმოსადგენია, თუ რა დიდი და დაუფასებელი ღვაწლი მიუძღვით ინგლისის მუნიციპებს მკვიდრთა მოქალაქობრივობის განმტკიცებაში, მის გარღმავებაში და მრავალფეროვნებაში.

ინგლისის თვითმართველობათა შორის, თავის თავათ მისახვედრია, პირველი ადგილი სატახტო ქალაქს—ლონდონს უჭირავს. უკანასკნელი შეიცავს აგერ ექვს მილიონამდე მცხოვრებს და გადაჭიმულია 300 ოთხკუთხიან კილომეტრის სივრცეზე. იგი არის ერთი მთლიანი საგრაფო და აქედან მის მუნიციპალურ წარმომადგენლობას „ლონდონის საგრაფო რჩევას“ ეძახიან. ნუ დაივიწყებთ, ამის გარდა არსებობს 28 წვრილი „საქალაქო რჩევა“ საკუთარის ბიუჯეტით და სხვა ფუნქციებით. არსებობს აგრეთვე სიტის კორპორაცია, 31 ღარიბთა დამხმარე თვითმართველობა და თავშესაფართა წყლის-პარკების-თევზის ნავთსადგურთა ცალკე გამგეობანი. ყველა ეს ორგანოები ექვემდებარებიან საგრაფო რჩევას, მაგრამ მათი სარბიელი მაინც შეუზღუდველია და თავისუფალი ფაქტიურათ.

საგრაფო ირჩევს თავის წარმომადგენლობას სამ წელში ერთხელ. წელს არჩევნებში უფლება ჰქონდათ მიეღოთ მონაწილეობა 815 ათას მოქალაქეს, მათ შორის 148 ათასს გაუთხოვარ და დაქვრივებულ ქალს. ქმრიანი ქალები გამორიცხულია სათვალავიდან, რადგან მაგიერობას ქმრები გასწევენო, ამბობს ჯონბული! საგრაფო დანაწილებულია 58 ოლქათ თვითეული მათგანი ირჩევდა ორ-ორ მრჩეველს, ანუ ხმოსანს! ერთი მათგანი, სახელდობრ—**სიტი**, ეს უძველესი დედა-ძარღვი ქალაქისა და თანაც ბირჟა-ბანკების ბუდაზი, ირჩევს ოთხ მრჩეველს. ამ უკანასკნელის ქალაქის თავის ანუ ლორდ-მეიორი იმავე დროს თვით საგრაფოს მთავარი (არის მის გარდა კიდევ ორი) პრეზიდენტია. მაშასადამე, საგრაფო რჩევაში ირჩევს ხალხი 118 წევრს, ამის გარდა ირჩევს **თვით რჩევა** კიდევ 19 ახალ წევრს ანუ „წარჩინებულთ“ მის გარეშე (კოოპტაცია). „წარჩინებულნი“ მსახურობენ ექვს წელს და მათი ნახევარი (ერთხელ 10, მეორეჯერ 9) ირჩევა ყოველ სამ წელში. როგორც მრჩეველთ, ისე პრეზიდენტებს მთავრობის დამტკიცება ან დადასტურება არ ეჭირვებათ, როგორც ზევით შევნიშნე, აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოებაც. ამრჩეველს ეძლევა თვითეულ ოლქში ორი კენჭი, რომლიდანაც მას შეუძლია ერთი ერთ კანდიდატს ჩაუგდოს და მეორე მეორეს, მაგრამ მას დიახაც ნება არა აქვს ორივე **ერთს** ჩაუგდოს! სწორეთ ამიტომ იგი უფრო ხშირათ ერთ კენჭს „აფუჭებს“ და მხოლოდ მეორეს იმარჯვებს...

რა შედეგი მოყვა წრევანდელ არჩევნებს? აი რა: 60 ზომიერი, იგივე კონსერვატორები; 55 პროგრესისტი, იგივე ლიბერალები; 3 სოციალისტი, იგივე წევრნი დამოუკიდებელ სოც. პარტიისა. პროგრესისტთა ფრთის ქვეშ გავიდნენ აგრეთვე 4 ტრედ-უნიონისტი და 2 ფაბიანელი, მაგრამ დამოუკიდებლობის მათ არაფერი სცხიათ. სამ წლის უკან ეს ძალანი ასე განაწილდებოდენ: ზომიერნი 79, პროგრესისტნი 37 და სოციალისტნი 2. აქედან ცხადია, რომ პირველათ წაუგიათ წელს 19, მეორეთ და მესამეთ მოუგიათ 18 და 1. რაც შეეხება რჩევის მიერ **ასარჩევ** „წარჩინებულთ“, მათი რიცხვი წელს უდრის ათს, ამათგან 7 პროგრესისტია და 3 ზომიერი. რადგან საგრაფო რჩევაში უმრავლესობა მაინც ზომიერთ დარჩათ, ამიტომ ისინი ყველა ამ 9 ,,წარჩინებულთ‘‘ უეჭველათ თავიანთ წრიდან აირჩევენ, თუმცა ეს ეწინააღმდეგება არსებულ ადათს. ამის მიხედვით ახალ საგრაფო რჩევაში ასე განაწილდება ალბათ ძალები: პროგრესისტნი და სოციალისტნი 60 (ორი ,,წარჩინებულია‘‘), ზომიერნი 77,—სულ 137 მრჩეველი.

საინტერესოა ერთი რამ: საპარლამენტო არჩევნებში ლონდონი უფრო ხშირათ კონსერვატორებს ეკედლება. უკანასკნელათ მან 59 მანდატიდან 33 მათ ჩაუგდო ხელში, ხოლო ლიბერალებს და ლაბურისტებს 24 და 2. საგრაფო მუნიციპში კი 1888 წლიდან (მაშინ შემოიღეს საზოგადოთ ეხალი თვითმართველობა) ლიბერალები ბატონობდენ, ვიდრე არ დადგა 1907 წელი, როცა კონსერვატორებმა გადააყენეს ისინი. წელსაც ხომ დარჩათ გამარჯვება, მაგრამ ეს არ იქნება ხანგრძლივი ალბათ, და ლიბერალებმაც ცოტათი გული მოიფხანეს ამდენ მწარე წუთების შემდეგ (არჩევნები პალატაში, ასკვიტი).

განსხვავება ზომიერებსა და პროგრესისტებ შორის საგრაფო მუნიციპში ისაა, რომ პირველნი მტკიცეთ სდგანან კერძო საკუთრების ნიადაგზე და ქალაქის ვეება მეურნეობას კერძო მოიჯარადრეთ უგდებენ ხელში, მეორენი კი ემხრობიან ყველა ამ მონოპოლიების ქალაქის საკუთრებათ ქცევას, ე. ი. „მუნიციპალურ სოციალიზმს“, როგორც ამბობენ.

ერთი შენიშვნაც: ცნობილმა მუნიციპალისტმა და ტრედ-უნიონისტთა ისტორიკოსმა სიდნეი ვებბმა თავი მიანება ლონდონის ხმოსნობას. მის მაგიერ სოციალდემოკრატიამ წამოაყენა თავისი კანდიდატი, მაგრამ დამარცხდა. აირჩიეს ორი ქალი-ხმოსანი, ერთი ზომიერი და მეორე პროგრესისტი. სოციალისტთა ორი ქალი-კანდიდატი გაშავდა.

ა. ჩ.

პატარა ფელეტონი

ოდესის დეპუტატი.

მის აღმატებულებას ჩვეულებრივათ გვიან გამოეღვიძა. დაბერილი თვალები ხშირი ბეწვეულობით შემოსილი თითებით ამოიფშვნიტა, გენერალის ხმით ჩაახველა და ელექტრონის პატარა ფოლაქს მაგრათ დააწვა სალოკი თითით...

თვალის დახამხამებაზე კარებში აიტუზა მხარ ბეჭიანი, წითელ ცხვირა ადიუტანტი; მარჯვენა ხელის თითები საფეთქელთან მიიბჯინა და მოწიწებით შეეკითხა გენერალს:

— რას მიბრძანებთ თქვენო აღმატებულებავ?

— ქალაქის თავს გადაეცი, რომ დღეს თვითმართველობის დარბაზში ჭეშ. რ. კავშირის» წევრების საგანგებო კრება მოიწვიოს. გესმის?

— მესმის, თქვენო აღმატებულებავ!

საღამოს რვა საათზე გენერალს ტელეფონით აცნობეს, რომ ყველანი შეიკრიბნენ და მის აღმატებულებას ელიან მხოლოდ. მისი აღმატებულებაც მალე მიგრიალდა ეტლით თვითმართველობის დარბაზში. მას წინ მიეგება ქალაქის თავი არაყით და ხელ-კეტით (პურ-მარილის მაგიერათ ხმარობენ ჭეშმარიტი რუსები) და შემდეგი მოკლე სიტყვით მიმართა:

— თქვენო აღმატებულებავ! ჭეშ. რ. კავშირის წევრები უზომოთ მოხარულნი არიან, რომ ჩხეიძის ხანჯალს და მილიუკოვის ყუმბარას უვნებლათ გადურჩით და თავ-ფეხებიანა დაგვიბრუნდი პეტერბურგიდან. თქვენი მშვიდობის აღსანიშნავათ კავშირის „დრუჟინა“ ებრაელების დარბევას მოახდენს, ხოლო დანარჩენ მოქალაქეებს რეზინებით გაუმასპინძლდებიან.

გაუმარჯოს გენერალს! სიკვდილი ჟიდებს და ინოროდცებს!

მთელმა დარბაზმა ერთ-ხმათ გაიმეორა ორატორის უკანასკნელი სიტყვები და გენერალს დაბლა თავი დაუკრა.

გენერალს სიხარულით თვალები გაუბრწყინდა, პირზე ღიმილი შეუთამაშდა. მან მედიდურათ ულვაშებზე ხელი გადისვა და ბოხი ხმით მიმართა დამსწრეთ:

— ბ. ბ., მე ბედნიერი ვარ, რომ თქვენისთანა ორფეხთა შორის მარგუნა ბედმა მოღვაწეობა. სანამ თქვენ ცოცხალი მეყოლებით, მე ვერას დამაკლებს ვერც კრამოლნიკური დუმა, ვერც „ლიბერალი“ სტოლიპინი და ვერც ჟიდები. უმაღლესი ნდობით აღჭურვილს, მე ერთი ხელის გაქნევით შემიძლია ყველა ინოროდცები ახლათ გამოჩენილ კომეტის კუდზე გადავასახლო...

ყველანი სიხარულით:

— ოხ, ნეტავი მართლა მოვესწრებოდეთ მაგ ბედნიერ დღეს..

გენერალი: მე შემიძლია მთელი ქვეყნის კრამოლნიკები დუბროვინის სარტყელით (გვარიანი ფართეა!) შევკრა და „კავშირის“ სარდაფში ჩავკეტო...

(ყველანი ხმა დაბლა: მაშინ ხომ ჩვენს ნაპარავ ნივთებს დაისაკუთრებენ ის ოხრები!)

ყველანი ხმა მაღლა: დიდება ძლიერებასა შენსა, მდევო „კავშირისაო“!

გენერ. მე შემიძლია პურიშკევიჩის „სვისტოკში“ ისე მძლავრათ ჩავბერო ჩემი „ჭეშმარიტ რუსული“ სული, რომ მთელი ქვეყნის პარლამენტების დეპუტატებს (გარდა მემარჯვენეებისა) ყურთა სმენა დავუხშო...

ყველანი: დიდება სასწაულ-მოქმედებასა შენსა!

გენ.: ერთი სიტყვით, მე ყველაფერი შემიძლია... მოვედი ჩემდა ყოველი გონება მახინჯი, ტვინ-მჩატენი და ხელ-კეტმძიმენი და მიიღეთ ჩემგან—ნიშნათ მადლობისა—კავშირის ნიშანი და თითო ბოთლი არაყი!

ყველანი: იდიდოს სახლი შენი, ყოვლის შემძლე გენერალო!

—

ყველანი თავიანთ ადგილებზე სხდებიან. თავმჯდომარეთ ერთ-ხმათ ირჩევენ მის აღმატებულებას—გენერალს.

გენ: თქვენ კარგათ მოგეხსენებათ, ბ.ბ., რომ ჩემი განმარტების მეოხებით დეპუტატი ბროდსკი (ამ გვარის გაგონებაზე ზოგი აფურთხებს, ზოგი „ფუს“ იძახის) თავისი პორთფელ—ჩემოდანით პეტერბურგის „პ. რ.“ უმთავრესი საბჭოდან... მაპატიეთ, წამომცდა,—პეტერბურგში არსებულ კრამოლნიკთა ცენტრალურ ბუდიდან (წაიკითხე: დუმიდან) ისევ ოდესაში დავაბრუნე... ისიც გემახსოვრებათ, ალბათ, რომ მე ამის გულისათვის კადეტების ტერორისტებმა შვიდჯერ ყუმბარა მესროლეს (გრაფი კონოვნიცინი შიშით ყურებში თითებს იჩრის) და სამჯერ მაზხალაც ააფეთქეს ჩემ თვალ წინ (მამა-შვილი ზაიჩენკოები გულმოდგინეთ აუვალიერებენ გენერალის თავ-პირს, ბეწვეულობა ხომ არსად შეტრუსვიო)?

დღეს თქვენ საშუალება გეძლევათ ოდესის წარმომადგენლათ აირჩიოთ ღირსეული პირი, რასაკვირველია, „კავშირის“ წევრი, რომელიც პურიშკევიჩ-მარკოვ-გოლოლობოვს მხარს დაუმშვენებს და „სამშობლოს მოღალატეებს“ შეებრძოლება...

სხვა პარტიების ქიშპობისაგან უზრუნველ-ყოფილი ხართ. მე ბრძანება გავეცი, რომ 1952 წლის სექტემბრამდი არც ერთმა ადგილობრივმა პროგრესიულმა გაზეთმა სადეპუტატო კანდიდატების სია არ გამოაქვეყნოს; სიკვდილით დასჯა მოელით და ის არი...

მაშ, დაასახელეთ კანდიდატები...

—

ასახელებენ კანდიდატებს პატარა ნაგლეჯ ქაღალდებზე. შემდეგ ნ. ნ. როდზევიჩი ყველა „ზაპისკებს“ თავის ქუდში აგროვებს და თავმჯდომარესთან მიაქვს.

თავმჯდომარე. ყველა დასახელებულ კანდიდატებს ამოუვიდათ სამ-სამი ხმა, რაც—არითმეტიკული ანგარიშით—თანასწორათ უნდა იქნეს ცნობილი. ამიტომ გავითვალისწინოთ თვითეული კანდატის პიროვნება ცალკე და რომელსაც უპირატესობა მივაკუთნოთ, ის ავირჩიოთ.

ყველანი თანახმა არიან ამ წინადადებისა.

თავმჯდ.: დასახელებულია გრაფი კონოვნიცინი...

მამა-შვილი ზაიჩენკოები:

კონოვნიცინის დეპუტატათ არჩევა ყოვლათ შეუძლებელია. გრაფმა „შესჭამა“ „კავშირის“ კასიდან 100,000 მ., გრაფმა გაძარცვა კავშირი და არავის ანგარიში არ წარუდგინა, გრაფი «კავშირის» დაუკითხავათ დელეგატათ ესწრება კრებებს, დღესასწაულებს და სხვ.—კონოვნიცინის ასეთი საქციელი ყოვლად შეუწყნარებელია. კატეგორიულათ მოვითხოვთ მისი კანდიდატურა მოხსნილ იქნას, თუ არ გინდათ, რომ „კავშირი“ ქვეყნის ყბათ ასაღებათ გახდეს.

მოხსნიან კონოვნიცინის კანდიდატურას.

თავმჯდ.: დასახელებულია ზაიჩენკოები.

გრაფი კონოვნიცინი:—თუ ბოროტმოქმედებაში ბრალს მდებენ, არც სხვა „კავშირის“ წევრები არიან სპეტაკი ზნეობისა და მოქმედების. ვინ არიან თუნდა მამა-შვილი ზაიჩენკოები? გაიხსენეთ ზაიჩენკო—მამის საზიზღარი საქციელი ლოსკუტინის სასტუმროში (მოსკოვში) და ზაიჩენკო—შვილის კიდევ მეტათ გარყვნილი მოქმედება ოდესაში (ყაწვილებების გაუპატიურებას უჩიოდა ცენკოვსკი ოდესაში)...

ხსნიან ზაიჩენკოების კანდიდატურასაც. თავმჯდომარეს მოუსვენრობა ეტყობა. კრება შეუდგება ნ. ნ. როდზევიჩის კანდიდატურის განხილვას; პელიკანი აცხადებს, „კავშირმა“ როდზევიჩი ისედაც საკმარისათ დააჯილდოვა, სახელდობრ,—1) „კავშირმა“ დაადგინა: დაინიშნოს როდზევიჩი „კავშირის“ გემნაზიის დირექტორათ და შესაფერი ჯამაგირიც დაენიშნოს, 2) როდზევიჩის დაქორწინების აღსანიშნავათ, მოემატოს მას ჯამაგირი, 3) დაინიშნოს როდზევიჩის განკარგულებაში 9 ოთახი, 4) დაუნიშნოს მას ქალაქმა უფასო გათბობა და განათება, 5) მიღებულ იქნას როდზევიჩის ცოლი გემნაზიაში მატემატიკის მასწავლებლათ და დაენიშნოს ღირსეული ჯამაგირი, 6) აგრეთვე მიღებულ იქნას კარგ ჯამაგირიან ადგილზე როდზევიჩის დაც, სიდედრიც, სიმამრიც, ნათლიაც მამიდაც და სხვ...

ა. პელიკანის აზრით ასეთი დაჯილდოება დაუმსახურებელია როდზევიჩისაგან, არა თუ ის კიდევ დეპუტატათ იქნეს დასახელებული.

ხსნიან როდზევიჩის კანდიდატურასაც, შემდეგ სხვა დასახელებული პირების კანდიდატურასაც, რადგან ზოგი მათგანი ქურდი აღმოჩნდა, ზოგი სულით ავათმყოფი, ზოგი გამოუფხიზლებელი ლოთი და ზოგიც კიდევ ისეთები, რომლებიც სისხლის სასამართლოს ვერ ასცილდებოდენ, რომ ასარჩევთა სიაში **ჩაჩხარულიყვენ.**

მის აღმატებულებას სრულებით დაეკარგა იმედი და თვალ-ცრემლიანმა შეღმუვლა დამსწრეთ: მე ყოველი ღონე ვიღონე, რომ „კავშირის“ რომელიმე წევრისათვის გზა გამეკაფა სახელმწიფო სათათბიროში, და თუ არც ერთ თქვენგანს არ შეხვდა ეს ბედნიერება, ისევ თქვენ თავს დააბრალეთ. მე კი სენატს ვაცნობებ არ სურთ დუმაში წარმომადგენელი იყოლიონ...

კონოვნიცინი არ ეთანხმება გენერალს, რადგან კადეტები თავისას არ მოიშლიან სიცრუეს გამოაქვეყნებენ და ვინმე „ჟიდს“ გაიყვანენ ისევ დუმაში. ამიტომ კონოვნიცი წინადადებას იძლევა „კავშირმა“ ერთხმათ დაასახელოს დუმის დეპუტატათ სპარსეთის ყოფილი შაჰი—მაჰმედ-ალი. მართალია ის „ინოროდეცია“, მაგრამ, სამაგიეროთ, ჭეშმარიტი მონარქისტია, ისე, როგორც გენ. დუმბაძე. გენერალი სიხარულით კონოვნიცინს გადაკოცნის.

კრება ერთხმათ ადგენს შეიძინონ მაჰომედ-ალისათვის საჭირო ცენზი და რუსეთის ქვეშევრდომის პასპორტი და ექს-შახი „კავშირის“ საპატიო წევრათ ჩაწერონ.

—

მისმა აღმატებულებამ იმ ღამესვე აცნობა „კავშირის“ უმთავრეს საბჭოს პეტერბურგში: „აცნობეთ დუმის ადმინისტრაციას, რომ პურიშკევიჩ-მარკოვის შუა დადგას სკამი მაჰომედ-ალისათვის“.

„ოდესის გენერალი“ **მერი.**

უკანასკნელი ფოსტა

რუსეთი

სოციალდემოკრატიულმა ფრაქციამ 5 მარტს შემდეგი შინაარსის პროტესტი შეიტანა დუმაში: „3 მარტის სხდომაზე სახ. დუმის მემარცხენე დეპუტატებმა სასტიკი პროტესტი გამოაცხადეს დეპ. პურიშკევიჩის საზიზღარ ცილისწამების შესახებ, რომელიც პეტერბურგის უნივერსიტეტის „სტაროსტების“ საბჭოს და ამ საბჭოს წევრ ქალს შეეხებოდა. ოპოზიციის მოთხოვნის თანახმათ სახ. დუმის თავმჯდომარე იძულებული შეიქნა დროებით სხდომა შეეწყვიტა. განახლებულ სხდომაზე თავმჯდომარემ დეპ. პურიშკევიჩს სიტყვა წაართვა, რადგან დარწმუნდა, რომ დეპ. პურიშკევიჩის მიერ წინა სხდომაზე ნათქვამი სიტყვები შეუწყნარებელი იყო. თავმჯდომარემ ბუნებრივათ სცნო სახ. დუმ. დეპუტატების ძლიერი აღშფოთება, მაგრამ მაინც აღნიშნა, რომ სახ. დუმის დეპუტატები უმართებულოთ მოიქცენ, როდესაც თავმჯდომარის დამოუკიდებლათ თვითონ მოისურვეს პურიშკევიჩის პასუხის გაცემა. დღეს, 5 მარტს, სახ. დუმის სხდომაზე პურიშკევიჩმა განაცხადა, რომ ის განაგრძობს წინა სხდომაზე შეწყვეტილ სიტყვას და უბრუნდება იმ თემას, რომლის განმარტება მას არ აცადეს. პურიშკევიჩმა ხელახლა გაიმეორა მთელი რიგი სამარცხვინო სიტყვები და შეურაცხყოფა მიაყენა სტუდენტებს და კერძოთ ოდესის უნივერსიტეტის თავისუფალ მსმენელ ქალს. სახ. დუმის დეპუტატებს ახსოვდათ თავმჯდომარის სიტყვები, რომელიც მან 3 მარტის სხდომაზე წარმოსთქვა და ამიტომ შეუძლებლათ სცნეს ზომები მიეღოთ თავგასული ორატორის ასალაგმავათ, რადგან დარწმუნებულნი იყვნენ, რომ თავმჯდომარე თავის უფლებით ისარგებლებდა და ნებას არ მისცემდა პურიშკევიჩს დუმის ტრიბუნიდან ლანძღვა-გინებით მოეხსენებია მოსწავლე ახალგაზრდობა, მაგრამ თავმჯდომარე შიდლოვსკიმ არც ერთხელ არ შეაჩერა ორატორი და პურიშკევიჩს საშუალება მისცა მისი საზიზღარი სიტყვა დაესრულებია. ჩვენ ქვემორე ხელის მომწერნი პროტესტს ვუცხადებთ თავმჯდომარეს, რომელმაც არავითარი ზომა არ მიიღო, რომ დუმის ტრიბუნიდან უმართებულო სიტყვები არ წარმოეთქვა“.

სტუდენტების პროტესტები. პეტერბურგის და მოსკოვის თითქმის ყველა უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლეებმა კრებები გამართეს და პურიშკევიჩის სამარცხვინო საქციელის წინააღმდეგ საპროტესტო რეზოლუციები გამოიმუშავეს.

კრების აკრძალვა. ნოვოროსიის უნივერსიტეტის მთავრობამ სტუდენტებს ნება არ დართო კრება გაემართათ პურიშკევიჩის საქციელის დასაგმობათ.

„რ. ს.“ გადმოცემით ნოვოროსიის უნივერსიტეტის კოალიციონურმა საბჭომ სტუდენტების პროგრესიული ნაწილის სახელით. სახ. დუმის სოც.-დემოკრატიულ ფრაქციას დეპეშა გაუგზავნა, რომელშიაც სტუდენტები პურიშკევიჩის გამოსვლის წინააღმდეგ პროტესტს აცხადებენ. დუმის ოპოზიციის წარმომადგენლებს. ამგვარივე შინაარსის დეპეშა გაგზავნეს ნოვოროსიის უმაღლესი კურსების თავისუფალ მსმენელმა ქალებმა.

პროფესორების პროტესტი. როგორც გაზეთი «გ. მ.» გადმოგვცემს, პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს აზრათ აქვს პროტესტი გამოაცხადოს დეპ. პურიშკევიჩის «ინსინუაციების» წინააღმდეგ და საქვეყნოთ უარყოს ის ბრალდება, რომელიც პურიშკევიჩმა თავისუფალ მსმენელ ქალებს მოახვია თავზე.

ავსტრიელი ჯაშუში. კიევის სამხედრო შტაბის განკარგულებით, 3 მარტს დამცველმა პოლიციამ კიევში დაატუსაღა ავსტრიის ქვეშევრდომი ილარიონ პეტრეს ძე სმერჩინსკი. პოლიციამ სმერჩინსკის ბინა გაჩხრიკა. როგორც თან, ისე ბინაზე სმერჩინსკის აღმოაჩნდა საიდუმლო მიწერ მოწერის ბარათები და სხვადასხვა დოკუმენტები. გამოირკვა, რომ სმერჩინსკი ავსტრიის გენერალურ შტაბში ითვლებოდა სამსახურში და ჯაშუშის თანამდებობას ასრულებდა. სმერჩინსკის თავის განკარგულებაში დიდ-ძალი ფული ქონია. სმერჩინსკი კიევში მოსულა 14 თებერვალს, თუმცა პოლიციის აზრით, ის ოქტომბერში უნდა დასახლებულიყოს კიევში.

პროვინცია

ქართლი. ს. ქარელში არსებობს წიგნთ-საცავ-სამკითხველო, რადგან სამკითხ. საშუალება არ ქონდა ვითომ და გულშემატკივართ განუზრახავთ კარტის და ლოტოს თამაშის მოწყობა, რომ მოგებული ფულიდან 10 პროც. ხსენებულ სამკითხველოს სასარგებლოთ გადადეთ. ასეთი თამაში დაუწყიათ ოქტომბრის შუა რიცხვებიდან და დღესაც გრძელდება. დღემდე არც შესაფერი შენობაა სამკითხველოსათვის, არც წიგნები (გარდა იმისა, რაც ქ. შ. წ. გ. საზოგადოებამ გამოუგზავნა დაარსების დღიდან) არც ჟურნალ-გაზეთები მოეპოვება. ნუ თუ ამდენ ხანს არ მოგროვდა იმდენი, რომ შენობა ეგოთ და ჟურნალ-გაზეთები გამოეწერათ სამკითხველოსთვის? განა სხვა საშუალება ვერ გამონახეს, რომ ასეთ სამარცხვინო მოქმედებისთვის არ მიემართათ? მაგრამ ალბათ თავის გართობისთვის უფრო ზრუნავენ, ვიდრე სამკითხველოსთვის.

— პირველ იანვრიდან, როგორც ქართლის ზოგიერთ საზოგადოებებში, ისე რუისშიაც გაუქმებულ იქნა უმაღლესი მთავრობის ბრძანებით მთავრობის მამასახლისები და სტრაჟნიკები. 22 თებერვალს მოხდა არჩევნები ახალი მამასახლისის და სოფლის სხვა მოხელეებისა. არჩევნებს დაესწრო მომრიგებელი შუამავალი ბ-ნი თარხნიშვილი და ბოქაული ციციშვილი. ბ-ნმა თარხნიშვილმა მიმართა ხალხს: დღეს ირჩევთ მამასახლისს, გულდამშვიდებით მოილაპარაკეთ ერთმანეთში, ნუ აჩქარდებით, აირჩიეთ ღირსეული კაცი, რომ თქვენზე გამოადგეს, ქვრივ-ობლებს ყურადღება მიაქციოს, მექრთამე ნუ იქნება, თორემ ისედაც პირანგი ადარა გაქვთ ტანზე ზედმეტი ხარჯებით. სასოფლო სასამართლოს სამიკიტნოთ ნუ გადააქცევს, როგორც აქამდის იყო. ამ სიტყვების შემდეგ ხალხი მოლაპარაკებას შეუდგა და ცოტა ხნის თათბირის შემდეგ, ზოგიერთი ვაჟბატონების ზეგავლენით დაასახელეს ადგილობრივი მევახშე შაქრო მგებრიშვილი. საზოგადოება ბ-ნ თარხნიშვილის სიტყვებს ნაკლები ყურადღებით მოეპყრო. მოსთხოვა ხალხს სხვა დაასახელეთო. შემდეგ დაასახელეს ეფრემ გურასპაშვილი და კიდევ აირჩიეს. არავის მისი საწინააღმდეგო არაფერი ქონდათ, მართლაც, უსწავლელი კაცის პირობაზე პატიოსანი კაცია და საზოგადოებაშიაც პატივი აქვს დამსახურებული.

— ახლო მომავალში ქარელში გაიხსნება საფოსტო განყოფილება. ამის შესახებ ცნობა მიღებულია უკვე ფოსტა-ტელეგრაფის უფროსისაგან.

— რუისის სამკითხველოსათვის შეიძინეს „ჯადო ფარანი“ (Волшебный фонарь) მართო აპარატი თავის ლამპით დამჯდარა 60 მანეთი. სურათები კი დაუთმო წ. კ. საზოგადოებამ იმ პირობით, რომ ყოველი ორი კვირის შემდეგ უვნებლათ ჩააბარონ უკანვე.

მოიდანახელი.

—

ს. იანეული (გურია). მიწის სიცოტავის და მისი უვარგისობის გამო ს. იანეული ერთი უღარიბესი სოფელთაგანია მთელ გურიაში და ამას კიდევ რომ მივუმატებთ ამ უკანასკნელ წლებში გადახდილ ათასგვარ „ნედოიმკებს“, მაშინ ნათლათ წარმოიდგენთ მის ქონებრივ მდგომარეობას. მიუხედავათ ამგვარ სიღარიბისა, აქაური მცხოვრებნი თავიანთ ძალღონეს არ იშურებენ სწავლა-განათლებისათვის. აქ არსებობს ერთ კლასიანი სამრევლო სკოლა, რომელიც სავსეა მოწაფეებით და თუ მომავალ სამოსწავლო წლის დასაწყისში ეს სკოლა ორ-კლასიანათ არ იქნა გადაკეთებული და მოწვეული მეორე მასწავლებელი, იმ შემთხვევაში ბევრი ბავშვი დარჩება სკოლის გარეთ. მივიღეთ რა მხედველობაში ეს გარემოება, მასთან ხალხის უკიდურესი სიღარიბე და კიდევ ზოგიერთი დამაბრკოლებელი მიზეზები, რამოდენიმე კაცის ინიციატივით 10 თებერვალს გავმართეთ კრება თათბირი, რომელზედაც უნდა გამონახულიყო რამე მატერიალური საშუალება, რომლითაც შევძლებოდა ცოტათ დავხმარებოდით მაინც ხალხს და მით წაგვეხალისებია ისინი იანეულის სკოლის ორ-კლასიანათ გადაკეთებაზე. თათბირს სხვათა შორის დაესწრნენ ამ სკოლის გამგე მღ. ისაკი კეკელიძე და მზრუნველიც. როგორც მღ. ისაკი, ისე მზრუნველი მოხელე კეკელიძე თავიდანვე წინააღმდეგნი იყვნენ სკოლის გაორკლასიანების იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ამ საქმის ინიციატორები იყვნენ სხვები და არა თვითონ ისინი. მაგრამ განსაკუთრებით ბ-ნმა გამგემ ისახელა თავი და მისი უმართებულო ქცევით ყოველ მოლოდინს გადააჭარბა. იმას გარდა, რომ ყოველ ღონეს ხმარობდა სკოლის გაორკლასიანების საქმე ჩაეშალა, ის კიდევ ცდილობდა სასაცილოთ აეგდო მთელი ეს თათბირი, თუმცა სასაცილო ამ თათბირზე მღ. ისაკის საქციელის მეტი არა იყო-რა. ის ისმენდა სხვის მოსაზრებებს, სცვლიდა და ამახინჯებდა, მას უკეთებდა მისებურ ახირებულ დასკვნებს და, რაც უფრო სასაცილოა, ხშირად ეწინააღმდეგებოდა მისავე გამოთქმულ აზრს და სხვა. ყოველივე ეს უმართებულობა ჩვენი საქმის გულისათვის თითქმის შეუმჩნევლათ ჩავატარეთ, მაგრამ როცა სიტყვამ მოიტანა არ შეგვეძლო არ გვეთქვა მისთვის, რომ ჩვენ მივხვდით მის ამ საქმეში წინააღმდეგობის მიზეზს. ეხლაც ვიმეორებ, მისი წინააღმდეგობის მიზეზი იყო სწორედ ის გარემოება, რომ განზრახული საქმის ინიციატორი არ იყო თვითონ მღ. ისაკი კეკელიძე, რომლის პირდაპირ მოვალეობას შეადგენს ამ სკოლის გაუმჯობესებაზე ზრუნვა. მღ. ისაკი ძლიერ გაჯავრდა ამგვარმა მხილებამ და რომ შავი თეთრათ გვესაღებია მოუვა რაღაც ლითაიებს, რომლის ანგარიშის გასაწევათ არც დრო მაქვს და არც სურვილი, მხოლოდ არ შემიძლია ყურადღება არ მივაქციო ერთ გარემოებას: მას ყოფნის გამბედაობა და ცდილობს ყველანი დაარწმუნოს, რომ ვითომც იანეულში ყოველივე საზოგადო საქმეს ის აკეთებდეს და მათ შორის ზემოხსენებული სკოლაც ვითომც მისი წყალობით არსებობდეს და სხვა. მე კი ვიცი, და ყოველთვის მზათაც ვარ დავამტკიცო, რომ მღ. ისაკი კეკელიძეს, როგორც სკოლის დაარსებაში ისე არც სხვა საზოგადო საქმეში იანეულში იოტის ოდენა შრომა არ მიუძღვის. ვინ არის ისეთი იანეულში და მის მახლობელ სოფლებში არ იცოდეს, რომ იანეულის სამრევლო სკოლა აგერ ითქმის 30 წელიწადია რაც არსებობს, წინათ წერა-კითხვის სკოლის და მერე კი სამრევლო სკოლის სახელით და რომ მისი დამაარსებელი და სულის ჩამდგმელი მღვდელი დევანტი კეკელიძეა და არა თქვენ მ. ისაკი! ვის არ ახსოვს დევანტი კეკელიძის დაუღალავი მუშაობა, როგორც ამ სკოლის მასწავლებლის, 13—14 წლის განმავლობაში თითქმის უფასოთ, ვინ არ იცის, რომ ეს სკოლა მღ. ისაკის მზა-მზარეულათ დახვდა. აგრეთვე ვიცით ისიც, რომ, როგორც სკოლის საქმეში, არც სხვა საზოგადო საქმეში მიუძღვის მ. ისაკის რამე შრომა და მას კი მაინც უნდა დაარწმუნოს ყველანი, რომ ის აკეთებს ყველაფერს „ამდენ ხანს ჩვენ ვაკეთეთ საზოგადო საქმეები და აწი თუ გნებავთ თქვენ იმუშავეთო“ გვითხრა გაჯავრებულმა მღვდელმა ისაკი კეკელიძემ, რაზედაც კიდევ გავუმეორებ, რომ მას ჯერ არაფერი გაუკეთებია საზოგადო საქმისთვის, მხოლოდ რაც შეეხება ჩვენ, ჩვენ კი თავს არ დავიშურებთ თუ კი რამე შეგვეძლება. —დასასრულ მოვაგონებ ბბ. სკოლის მზრუნველებს მათ აღთქმას და ვუსურვებ მათ პირნათლათ შესრულებით მათი [illegible] დის საქმეში. **ბარნაბა შარაშიძე.**

მუშათა შორის

თფ. რკ. გზ. მთავ. სახ. სახარატო (ტოკარნი) **ცეხი.** ჩვენმა ცეხის უფროსმა იმდენი გამბედაობა კი გამოიჩინა, რომ თვით ფაბრიკა-ქარხნების წესდებასაც წინაუდგა. მან გამოსცა შემდეგი ბრძანება: შეგირდებმა მუშაობის გათავების შემდეგაც უნდა იმუშაონ კიდევ დაუსვენებლივ 4—5 საათი „ხელობის შესასწავლათ“ მხოლოდ უფულოდ. შეგირდი, რომელიც უნდა ექვს საათს მუშაობდეს ფაბრიკა-ქარხნების წესდების ძალით, აქ არამც თუ ექვს საათს, არამედ—ცხრა საათს ამუშავებენ. მაგრამ ამასაც არ დაჯერდა ბ-ნი უფროსი და აიძულა შეგირდები დღეში დაუსვენებლივ 13—14 საათი იმუშაონ ფასს-კი მხოლოდ 9 საათისას მიიღებენ. უფროსს ხელი შეუწყვეს ისეთმა ყოვლათ უმსგავსო შეგირდებმა, რომლებმაც სურვილი განაცხადეს „შაბაშის“ შემდეგ უფასოდ მუშაობაზე. ეს ვაჟბატონები გახლავან: მოწოხელიძე და გიდენიძე, როდესაც ამხანაგების სამარცხვინოთ მთელი წელიწადი იმუშავეს ისე რომ „სოფელი ნახე უძაღლო მიგ გაიარე უჯოხო“-ო სწორედ ჩვენზე არის ნათქვამი. ხმის ამომღები არავინ არის და რაც უნდათ, იმას შვრებიან.

როდესაც მასტერმა ეს განცხადება აცნობა ბრიგადირებს, სიხარულით ცას ეწიენ, გაქანდენ მაშინვე თავიანთ შეგირდებთან და იმის ნაცვლათ, რომ დაერიგებიათ როგორ მოქცეულიყვნენ ამათ ურჩიეს არა უშავს რა, ეს თქვენთვის ძრიელ კარგია რადგან ხელობას ისწავლითო. ბევრი ამ განკარგულებას იმით ხსნის ვითომ უფროსს უნდა რომ შეგირდებმა ხელობა ისწავლონ, მაგრამ ამას იტყვის მხოლოდ ის, ვინც თავის ჯიბის გულისათვის იღწვის, ეს ტყუილია და აი ფაქტიც: ერთი შეგირდი, რომელიც თავისი სურვილით მთელი ერთი წლის განმავლობაში საღამოობით მუშაობდა უქიროთ და როდესაც შეგირდობა გაათავა, ამისი გაკეთებული სანიმუშო საქმე უფრო უვარგისი იყო, ვიდრე იმათი, რომელთაც ერთხელაც არ უმუშავნიათ საღამოობით. ცხადია, აქ სულ სხვა მიზეზებით ხელმძღვანელობდენ, საჭიროა ხელოსნებმა მიაქციონ ყურადღება ამ გარემოებას, რადგან ისინი უფრო გამოცდილები არიან ვიდრე შეგირდები, თორემ ჯერი მათზეც მიდგება. **გარეჯელი.**

წერილი რედაქციის მიმართ

„ახალი სხივის“ 28 №-ში ბ-ნი გალოირკა, ეხება-რა მუშათა აწინდელ მდგომარეობას, კრიტიკულად არჩევს არტელი „ვარიაგის“ წესდებას და სამართლიანადაც აღნიშნავს მის უკუღმართს მხარეს.

რადგან თფილისში რკ. გზის მტვირთველი მუშები იმავე სახელით აარსებენ ახალ არტელს, ამის გამო მე, როგორც მათი რწმუნებული და ახალ არტელ „ვარიაგის“ წესდების შემდგენელი, საჭიროთ ვსთვლი გამოვაცხადო, რომ ჩვენ მიერ განზრახულ არტელს საერთო არა აქვს-რა იმ ძირითად მუხლებთან, რომლის გარჩევას შესდგომია ბ-ნი გალოირკა.

პირიქით, ჩვენს ორგანიზაციაში მთავრობის ინიციატივას, მართვა-გამგეობას ადგილი არა აქვს.

გთხოვთ ამ მცირე შენიშვნას ადგილი დაუთმოთ თქვენს გაზეთში, რათა ზემოთ მოხსენებულმა წერილმა უარყოფითი გავლენა არ იქონიოს ჩვენს მუშებზე და სათავეშივე არ ავნოს კარგად დაწყებულ კეთილ საქმეს.

ეგნატე ხრამელაშვილი.

რედაქტორ-გამომც. მ. არველაძე

განცხადება

კბილის
საექიმო კაბინეთი
იოხველისა
(„გაუფრთხილდით კბილებს“ ავტორის, ფასი 15 კ.) კბილების აქიმობა, ღრძილების, ძირების და პირიდან ცუდი სუნის. ხელოვნური კბილების ჩასმა მიხაილოვის ქუჩა, 124, კბილის საექ. სკოლის გვერდით. (100—30)

ქუთაისში
კიწმარაშვილის და ამხანაგობის
თესლეულობის
მაღაზიაში
მიღებულია სხვადასხვა ახალი ბოსტნეულობის, ყვავილის და ბალახების: იონჯის, სამყურის და კოინდრის თესლეულობა.
აქვე იყიდება საგანგებოთ დამზადებული ძმების პასხალიდის თეთრი აბრეშუმის თესლი. მსურველთ ეგზავნებათ სურათებიანი კატალოგი უფასოთ. (25—3)

სტამბა „შრომა“, რუსის ქ. № 3.